

# ხობის მოამბე

№6 (7019) 9 აპრილი , ოთხშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახა ბუკია უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოხელეები და სამართლიანი არჩევნებისა და



დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების კოორდინატორი. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სხდომაზე პირველ საკითხად განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი, რომელიც წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კახა ბუკიამ.

სხდომაზე მეორე საკითხად კენჭი ეყარა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტს, რომლითაც ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს“ უზუფრუქტის წესით გაეცა ქალაქ ხობში სტალინის ქ. 12-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, სადაც ფაქტიურად განთავსებულია განათლების ცენტრის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით გამგეობის შესაბამის სამსახურს მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისი ქონების ჩამოწერის თაობაზე.

პირველი მაისისა და ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ განკარგულების პროექტებს დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

სხდომაზე ასევე მოსმენილ იქნა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც დეპუტატების მხრიდან დადებითად შეფასდა.

ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

## მარად მოუშუშებელი 9 აპრილი



### იმ ტკივილიანი დღიდან ოცდახუთი წელი გავიდა...

### „შენ, საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო“

შენ, საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო,
ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა აპრილის თვეში,
შენ საქორწილო ჯაბა უნდა ჩაგეცვა, შვილო,
ვარდების ნაცვლად შავი დროშა გიჭირავს ხელში.
სამშობლოსავით ხარ ამაყი, ლამაზი, მტკიცე,
ხარ ქეთევანის და წყნეთელის გენის და ჯიშის.
ცრემლით კი არა, ეგ თვალები სავსეა ფიცით,
არავითარი დაჩოქება, კრთომა და შიში.
ერის რისხვას და ხალხის წუხილს ვინ შეაკავებს,
გზა გოლგოთისა ადრეც ბევრჯერ გამოგივლია.
ქართველი ქალის დროა ახლა, არის აკვანი
და „იავნანა“ ყოველ ქართველ დედის ჰიმნია.
დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი და მრისხანება,
წინაპრებივით უმკურნალე ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა პერანგი მტრების ჯინაზე
სამშობლოს ცაზე დროშასავით ააფრიალე.

ნოდარ ჯალაღონია






9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

ამ დღესთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

11.00 სთ.–დაღუპულთა მემორიალის ყვავილებით შემკობა–9 აპრილის სკვერი.

12.00 სთ.–9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი–წმინდა სამების სახელობის ტაძარი.

13.00 სთ.–ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიცია: „დაგადგით, დაგადგით, დაგადგით ნათელი!“–მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

## 14 აპრილი– „დედაენის დღე“



>>>>>>>>>>>> 6,7

დაიჯესტი

## პრეზიდენტმა ოთხ სახელმწიფოში საქართველოს ელჩების დანიშვნის განკარგულებას მოაწერა ხელი



1 მაისიდან სლოვენიაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ზურაბ ბექაია, 1 ივნისიდან წმინდა საყდართან (ვატიკანში)–თამარ გრძელიძე, 2 ივნისიდან კი ქუვეითის სახელმწიფოში როლანდ ბერიძე ინიშნება.

მიმდინარე თვის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას 2014 წლის 3 აპრილიდან ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლევან ნიჟარაძის დანიშვნის შესახებ.

ზურაბ ბექაია დიპლომატიურ საქმიანობას 1996 წლიდან ეწევა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად და საქართველოს საქმეთა დროებით რწმუნებულად, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, ასევე მუშაობდა სამინისტროს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტში. იყო ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ექსპერტი. 1996 წელს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

თამარ გრძელიძე 2001 წლიდან 2014 წლამდე მუშაობდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (ქ.ჟენევა), მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ინტერ-კონფესიური ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო დიპლომატიის მიმართულებით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ორგანიზაცია „ღია საზოგადოება–საქართველოს“ პროექტის ხელმძღვანელად, თბილისის მე-6 გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, აგრეთვე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. თამარ გრძელიძეს 1982 წელს დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის სპეციალობით, ხოლო 1998 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტი აღმოსავლეთ ქრისტიანული ღვთისმეტყველების სპეციალობით.

როლანდ ბერიძე 1980-იანი წლებიდან ეწევა დიპლომატიურ საქმიანობას. 1990 წლიდან მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის 1992-1997 წლებში გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის სამსახურის უფროსი. 1997-2001 წლებში აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში ეკავა კონსულის თანამდებობა. 2002-2003 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორად. როლანდ ბერიძემ 2002 წელს დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი საჯარო პოლიტიკის მაგისტრის წოდებით. 1996 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

## „ევროპელი მეგობრების მხარდაჭერით, საქართველო საგარეო პრიორიტეტებს უმოკლეს დროში“ განახორციელებს“



საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, საქართველოსა და სლოვაკეთს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის.

როგორც მინისტრმა თბილისში ვიზიტით მყოფ სლოვაკეთის ვიცე-პრემიერ, საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრთან მიროსლავ ლაიჩაკთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „სლოვაკეთი საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი და მხარდამჭერია, რაც აისახება ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობების ძალიან მაღალ დონეში“.

„ეს ვიზიტი ძალიან კარგ საშუალებას წარმოადგენს საქართველოსა და სლოვაკეთს შორის არსებული როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი საკითხების განხილვისთვის. ამასთან, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სლოვაკ კოლეგას საქართველოს მიმართ გამოვლენილი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში იტეგრაციის პროცესში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სლოვაკი მეგობრების რჩევებს და მათი გამოცდილების გაზიარებას. დარწმუნებული ვარ, საქართველოს თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკისა და ჩვენი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერით საქართველო შეძლებს თავისი საგარეო პრიორიტეტებისა და მიზნების უმოკლეს დროში განხორციელებას“,–განაცხადა ფანჯიკიძემ.

## „მსხვილი საინვესტიციო ენერგეტიკული პროექტები, ვინმეს ახირება, ან კაპრიზი არ არის“



ამის შესახებ „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელმა, ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„დღეს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (22%) და შესაბამისად, ინვესტორების ყველაზე დიდი დაინტერესება სწორედ ენერგეტიკის სფეროზე და განსაკუთრებით, ჰიდროენერგეტიკაზე მოდის. ამას მოწმობს RD, IFC, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო-საინვესტიციო ჯგუფების განაცხადები და მზადყოფნა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში დაგეგმილი ინვესტიციების თაობაზე. ეს არის საშუალება და ძალიან ეფექტური ინსტრუმენტი იმისთვის რომ, ერთის მხრივ, ქვეყანაში მოვიზიდოთ დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შევქმნათ დამატებითი სამუშაო ადგილები და ახალი საწარმოო სიმძლავრეები. მეორეს მხრივ, მაქსიმალურად გავზარდოთ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და გავაჩინოთ დამატებითი წყაროები ბიუჯეტის შესავსებად. მესამე და ყველაზე მთავარი არის ის, რომ მნიშვნელოვნად შევამციროთ საქართველოს ენერგოდამოკიდებულობის ხარისხი სხვა ქვეყნებზე, განსაკუთრებით რუსეთზე. და ზამთრის თვეებში, როცა საქართველოს ენერგომოხმარება საგრძნობლად იზრდება და ენერგოსისტემა მკვეთრად დეფიციტური ხდება, უამრავი თანხა არ ვუხადოთ რუსეთს და სხვა ქვეყნებს“, –აღნიშნა ლევან კალანდაძემ.

## „მჯერა, მოკავშირეები იპოვიან გზას, საქართველოს მიერ განხორციელებული ძალისხმევა დაადასტურონ“




სლოვაკეთის ვიცე-პრემიერმა მიროსლავ ლაიჩაკმა საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

„ნატო-ს სამიტისთვის მზადების ფონზე, მინდა გამოვხატო რწმენა, რომ მოკავშირეები იპოვიან გზას, როგორ დაადასტურონ ყველა ის ძალისხმევა, რომელიც საქართველომ უსაფრთხოების სფეროში განახორციელა. სლოვაკეთი იქნება ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც აღნიშნული აღიარების ადვოკატირებას მოახდენს“,–განაცხადა ლაიჩაკმა.

## დავით უსუფაშვილი: „ნატოს გარეშე საქართველო შესაძლოა მსოფლიო რუკიდან ისევ გაქრეს“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების აუცილებლობის შესახებ კიდევ ერთხელ საუბრობს.

„ნატო-ს გარეშე საქართველო შესაძლოა მსოფლიო რუკიდან ისევ გაქრეს და ეს შეიძლება, მალე მოხდეს“, -განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროკავშირის პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაზე, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის სესიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას.

„2008 წლის აპრილში, ნატო-ს სამიტზე წევრი ქვეყნები მივიდნენ კონსესუსამდე, რომ საქართველო ალიანსის წევრი ქვეყანა გახდება, თუმცა არც მექანიზმებზე, არც ინსტრუმენტებსა და თარიღზე არ უსაუბრიათ.

მჯერა, რომ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი 2008 წლის აგვისტოში რუსული სამხედრო აგრესიისა. დღეს კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ვართ. გვესმის, რომ თუ საქართველო ნატოსკენ ნაბიჯს გადადგამს, ეს რუსეთის მხრიდან მორიგ აგრესიას გამოიწვევს. ჩვენ ვრისკავთ, სწორედ ამიტომ, გვჭირდება პასუხი, რას მოვიმოქმედებთ, თუ საქართველო რუსეთის მორიგი სამიზნე გახდება,“–განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

„მე ვხედავ მზაობას თქვენი მხრიდან. სწორედ ამიტომ, ჩემს ქვეყანაში მეტი ენთუზიაზმით დავბრუნდები, რომ გამოსავალი მოიძებნება, საქართველო დაუახლოვდება ევროპას, გახდება ნატო-ს წევრი და დემოკრატიული ქვეყანა გახდება რუსეთიც. სწორედ ესაა პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრის გზა“,–განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

## ინტერვიუ

# „მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას გრანდიოზული პროექტები შეცვლის“

გოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.



**ბატონო გოჩა, მოდით, სადღეისოდ აქტუალური თემებით დავიწყოთ. უკრაინაში მიმდინარე პროცესები ყველამ სხვადასხვანაირად აღიქვა. დასავლეთი მწვავედ რეაგირებს ამაზე. როგორც რიგითმა მოქალაქემ, რა პროგნოზები შეგიძლიათ გააკეთოთ, ხომ არ გაავლებდით პარალელებს საქართველოში 2008 წლის მოვლენებთან?**

–უპირველეს ყოვლისა, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ერთგულ მკითხველებს კიდევ ერთხელ მივესალმები.

უკრაინაში მიმდინარე პროცესების სახით ევროპაში სახეზე გვაქვს გავლენის სფეროების გადანაწილების მცდელობა და ბუნებრივია, დასავლეთს მწვავე რეაქცია ექნება, რადგან შესაძლებელია, პროცესები მისი ინტერესების საზიანოდ წარიმართოს. რუსეთის ფედერაციას მიაჩნია, რომ იგი მზად არის აღადგინოს მე-20 საუკუნის დასასრულს რუსეთის საზიანოდ დარღვეული ძალთა ბალანსი. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა სცენარით წარიმართება მოვლენები, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, მისმა შედეგებმა საქართველოს მომავალზეც გავლენა იქონიოს. ჩვენმა ქვეყანამ მსგავსი მოვლენები უახლეს წარსულში გადაიტანა და უკრაინელი ხალხის ტკივილი და ტრაგედია კარგად გვესმის. პროგნოზების გაკეთება დღეს ექსპერტებსაც უჭირთ, მთავარია, მოვლენები ცივილიზებული ფორმებით წარიმართოს და საღმა აზრმა გაიმარჯვოს.

**წინა კვირას ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე (პრემიერისა და პრეზიდენტის შეფასებებზე) რას იტყოდით?**

–ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც ფიქრობს, რომ ხელისუფალზე–მით უმეტეს, თუ ის შენი გუნდის წევრია, საჯაროდ მხოლოდ დადებითი აზრი უნდა გამოთქვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკული გამონათქვამები დაპირისპირებად და სკანდალად ინათლება. თითოეულ ჩვენთაგანს არაერთხელ გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, როგორთანაც ადრე მას შეიძლება კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონოდა. ადამიანთა ქმედებებზე, მით უმეტეს თუ იგი მაღალი თანამდებობის პირია, მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. საქართველოს პრეზიდენტის ქმედებებსაც მისი რანგი და მასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტორი განაპირობებს და მათი შეფასებისას საქმის დეტალებში ჩაუხედავი ადამიანი ყოველთვის სუბიექტური იქნება. რაც შეეხება ბატონ ბიძინას განცხადებებს, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იგი პოლიტიკას გაემიჯნა და რიგითი მოქალაქის პოზიციით უდგება ნებისმიერ საკითხს, თუნდაც მის თანაგუნდელებთან დაკავშირებულს. ასევე, იგი მაგალითია ყველასთვის, თუ როგორი მიდგომებით შეიძლება ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოება.

**ქალაქის ცენტრში იელოველები „სამეფო დარბაზის“ მშენებლობას აწარმოებენ. მიწის შესყიდვა კანონის ფარგლებში მოხდა. წინასწარ იყო თუ არა ცნობილი რა უნდა აშენებულიყო?**

–ქალაქის ცენტრში დაგეგმილი მშენებლობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მსგავს საკითხებს, გადაწყვეტილებების მიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება.

**ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ერთის მხრივ ისეთი მემკვიდრეობა გერგოთ, ბედნიერი ბრძანდებით, თუმცა განგებამ მრავალი გამოცდა მოგიწყოთ. კიდევ ერთხელ ხომ არ გამოყოფდით თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს?**

–არაჩვეულებრივი გამონათქვამია –„ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“. თითოეული ადამიანისთვის ბავშვობის მოგონებები, განცდები და ამ წლებში აღქმული სამყარო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და მისი მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ადამიანის ქმედებებშიც კარგი და ცუდი შეიძლება ადრეულ ასაკში განცდილი მოვლენებით ავხსნათ.

ბავშვობა მართლაც ბედნიერი გვქონდა. უბრალო და პატიოსანი მშობლები გვყავდა, ურთიერთპატივისცემის და სიყვარულის გარემოცვაში გავიზარდეთ. თუ რამე დადებითი თვისება გამაჩნია, ეს მათი დამსახურებაა.

განგებამ მართლაც მრავალი გამოცდა მოგვიწყო, რომელთაგან ყველაზე მძიმე უახლოესი ადამიანების დაკარგვა იყო. ეს მხოლოდ ჩვენი ოჯახის ტრაგედია არ იყო და გარშემომყოფთა თანადგომამ და ნუგეშმა დიდი როლი ითამაშა.

ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპებიდან ოჯახის შექმნას და შვილების შეძენას გამოვყოფდი.

**რამდენადაც ვიცი, ბიზნესს ეწეოდით და წარმატებითაც. თავი დაანებეთ თუ?**

–დიახ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბიზნესით ვიყავი დაკავებული და წარმატებული საქმიანობაც გამომდიოდა. 2002 წელს მშობლიურმა სოფელმა სოფლის საკრებულოს წევრად ამირჩია და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიც მანდო. მას შემდეგ საჯარო სამსახურს ვეწევი და ამის გამო ბიზნესით არ ვარ დაკავებული.

**წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის თავმჯდომარე იყავით. ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველსავე ჯერზე პოლიტიკური მოძრაობა „ქართული ოცნების“ წევრი გახდით. რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე, ანუ, როდის იყავით გულწრფელი?**

–2006 წლიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვიყავი ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ფრაქციაში ვიყავი წევრის სტატუსით. უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების მიმართ ხშირად მიჩნდებოდა პროტესტის გრძნობა, რამაც მაქსიმალურ ზღვარს ციხის ცნობილი კადრების გამოქვეყნებისას მიაღწია. დავრწმუნდი, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და თავადაც გადავწყვიტე, წინ აღვდგომოდი და მებრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

„ქართული ოცნების“ წევრი ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების მოსვლამდე, არჩევნებამდე გავხდი და ხელისუფლების ცვლილება ჩემი შეხედულებების ცვლილების საფუძველი არ გამხდარა. ცხოვრების ყველა ეტაპზე გულწრფელი ვიყავი და გამორჩენის მიზნით პოზიციები არ შემიცვლია.

**არჩევნები, რომ იტყვიან, კარს მოგვადგა. საინტერესოა, თქვენ რა პოზიციას დაიჭერთ. უკვე კარგახანია გამგებლის მოვალეობას ასრულებთ, მძიმეა ეს ჯვარი?**

–თვისობრივად, ქვეყნის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დგება, მოსახლეობა ადგილობრივ დონეზე პირველად აირჩევს გამგებლებს და მერებს. ადგილობრივი არჩევნები მუდამ ყველა არჩევნებზე მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, ვინაიდან მოსახლეობა ირჩევს ხელისუფლების იმ რგოლს, რომელთანაც მას უშუალო ურთიერთობა უწევს და რომელმაც პრობლემების ძირითადი ნაწილი უნდა მოუგვაროს. გამგებლის თანამდებობაზე ვარ გასული წლის აგვისტოდან, თუმცა თვითმმართველობის ორგანოებში მრავალი წელია ვმუშაობ. ადგილობრივი პრობლემები ჩემთვის უცხო არ იყო, თუმცა უკვე უშუალოდ დამეკისრა თითოეულ საკითხთან შეხება და მათი მოგვარება. პროცესი მძიმეა იმდენად, რამდენადაც მოსახლეობის ყველა მოთხოვნასა და პრობლემაზე რეაგირება და მათი მოგვარება ადგილობრივ ხელისუფლებას ხშირად არ ძალუძს.

**რა არის თქვენთვის მთავარი, ხელისუფლებაში ყოფნა, თუ პირადი ურთიერთობები?**

–ადამიანს რა პოზიციაც არ უნდა ეკავოს საზოგადოებაში, ხელისუფლებაში მუდმივად ვერავინ იქნება. იგი ურთიერთობაში მუდამ სუფთა და მართალი უნდა იყოს. პირადი ურთიერთობების სიმყარე ყველანაირ თანამდებობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ.

**რა მიგაჩნიათ ადამიანისთვის ყველაზე დიდ ღირსებად?**

–მოყვასისადმი თანადგომა და უანგარო დამოკიდებულება.

**რაც გამგებელი ბრძანდებით, მეგობრების რიცხვი გაგეზარდათ?**

–ცხოვრების ყოველ ახალ ეტაპზე ახალ ადამიანებთანაც გიწევს ურთიერთობა და მეგობრების შეძენის შემთხვევები ხშირია. თანამდებობაზე მოსვლის შემთხვევაში კი, უფრო მეტად მეგობრობის მსურველთა რიცხვი იზრდება.

**მუნიციპალიტეტში რა მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა თქვენი გამგებლობის პერიოდში?**

–გამგებლის თანამდებობაზე მუშაობას გასული წლის ზაფხულის მიწურულს შევუდექი. ეს ის პერიოდია, როდესაც ყველა მიმართულებით აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა. მათგან არამარტო ქალაქის, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გამოვყოფ. დაწყებული საქმე ბოლომდე ხარისხიანად იქნა მიყვანილი და ქალაქისა თუ სოფლების იერსახე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ანალოგიურად, მიმდინარე წელსაც ხობის მოსახლეობა აშკარად იგრძნობს სიახლეებს, რაც ათწლეულების განმავლობაში ამორტიზებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას გულისხმობს. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლებასთან და არის დიდი იმედები იმისა, რომ ხობში აღდგეს სპორტული ინფრასტრუქტურა და რეგიონული მნიშვნელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა დავიწყოთ. საქართველოს მთავრობის წინაშე ასევე დაისვა საკითხი ხობის მონასტრისა და მასთან არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და განვითარების თაობაზე, რასაც სასულიერო კერის აღორძინებასთან ერთად ტურიზმის განვითარების კუთხითაც უაღრესი მნიშვნელობა ექნება. ეს არის ორი გრანდიოზული პროექტი, რომელიც მთელს მუნიციპალიტეტს უდიდეს სარგებელს და დანიშნულებას შესძენს. ამ და მსგავსი საკითხების მომზადებასა და განხილვაში მთელი გუნდია ჩართული.

**ჩვენი გაზეთის ეს ნომერი ემთხვევა 9 აპრილის მოვლენებს, რაც ყველა ქართველის მუდმივი ტკივილია. თქვენ რას გაიხსენებდით?**

–9 აპრილი საქართველოსთვის როგორც დიდი ტკივილი, ასევე არნახული სიამაყეა. ქართველმა ხალხმა თავის ისტორიაში მერამდენედ და საბოლოოდ გადაწყვიტა შერკინებოდა იმპერიას და ოკუპაციას, კვლავ გაეყვანა სამშობლო თავისუფალი განვითარების გზაზე. უკანასკნელ ათწლეულებში არასოდეს ყოფილა ქართველი ხალხი ისე ერთიანი, როგორც ამ გადამწყვეტ დღეებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1989 წლის თბილისის მოვლენებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომუნისტური წყობისა და იმპერიის რღვევაშიც. ნიშანდობლივია, რომ ორი წლის თავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ეს პერიოდი ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.

**საგაზაფხულო თესვა დაიწყო. წინასწარი გათვლებით როდის უნდა დამთავრდეს, ვინ ასრულებს ამ სამუშაოს, რამდენია მოსახნავი და ა.შ?**

–გასულ წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში სპეციალური ბარათები 12441-მა ბენეფიციარმა მიიღო. სულ 8759 ჰა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი დამუშავდა. მოსახლეობამ პროგრამის ფარგლებში ასევე შეძლო უფასოდ მიეღო მისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

წელს საგაზაფხულო თესვის დასრულება ნავარაუდევია 20 მაისისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახნავი ფართობი 13666 ჰექტარია, საიდანაც მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მიწებიდან პროგრამის ფარგლებში 6609 ჰექტარი უნდა მოიხნას. სამუშაოებს შპს „მექანიზატორი“, ამხანაგობა „სოფლტექსერვისი“ და ინდმეწარმეები: „მამუკა ტყებუჩავა“, „რევაზ გუნდაძე“ და „ჯემალ ხარაიშვილი“ შეასრულებენ. ხვნა-თესვის ორგანიზებულად წარმართვისათვის შემსრულებლებზე განაწილებულია სოფლები და შედგენილია შესაბამისი გრაფიკები. აპრილის დასაწყისისთვის უკვე მოხნულია 1300 ჰექტარამდე მიწის ფართობი. ამ სარგებელს მიიღებენ ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში 1.25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გააჩნიათ და რომლებსაც ისინი ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ.

**ხვალ არჩევნების დღე რომ იყოს, რას ეტყოდით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?**

–საარჩევნო უბანში მისვლამდე კიდევ ერთხელ გააანალიზონ განვლილი პერიოდის მოვლენები და არჩევანის გაკეთებისას მხოლოდ საკუთარ გულისთქმას დაეყრდნონ. ეს ჭეშმარიტი არჩევანი იქნება.

**ესაუბრა**
**მერი ლაგვილავა.**

## სოფლის მეურნეობა

**ნომრის სტუმარია საქართველოს სოფლის მეურნეობის ტერიტორიული ორგანო–ხობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ბატონი ანგული მიქავა.**

# ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა პრიორიტეტული გახდა

***ბატონო ანგულ, გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით თქვენი სამსახური თითქოს უფრო გააქტიურდა, რას გვეტყვით თქვენი სამსახურის ფუნქციებზე?***

–სამსახურის დასახელებაში სიტყვები „საინფორმაციო-საკონსულტაციო“ თავად მიგვანიშნებს ამ სამსახურის დანიშნულებაზე და ძირითად ფუნქციებზე. ეს სამსახურები შეიქმნა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა პრიორიტეტული გახდა და ამ კუთხით მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები ტარდება, სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობისა და სოფლის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევისა და პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული, ამიტომ სამსახური დამტკიცებული დებულების ფარგლებში ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ პროექტის განხორციელების პროცესში, რომელიც დღემდე განხორცილდა ან განხორციელების ეტაპებზეა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით დავამყარეთ. ყოველდღიურად იზრდება ინტერესი იმ ინოვაციური აგროტექნოლოგიებისა და მეთოდების მიმართ, რომელიც ჩვენს მიერ სხვადასხვა ხერხებით დაინტერესებულ პირებს მიეწოდება. მიმდინარე წლის სამი თვის მონაცემებით, სამსახურში მოსახლეობასთან შეხვედრების პარალელურად 300-მდე ჩვენი თანამოქალაქე სხვადასხვა ინფორმაციების მისაღებად მოვიდა. მიუხედავად მოსახლეობის კონსერვატიული ხასიათიდან გამომდინარე, იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ სამსახურის აქტიურობას მოსახლეობამაც დინამიურად აუბა მხარი მაშინ, როცა თავიდან აქტიურობა თითქმის არ იგრძნობოდა.

***როგორც ვიცი, კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის სოფლებში შეხვედრები გქონდათ, რა შედეგები გაქვთ?***

–ჩვენმა ხელისუფლებამ ფერმერთა (გლეხთა) ნებაყოფლობითი სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარება აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აირჩია, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. კოოპერატივში გაწევრიანებული ფერმერებისთვის/გლეხებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი, განსაზღვრულია უფასო სწავლა-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები. იგეგმება მოტობლოკებითა და ხელით სათესით უზრუნველყოფის პროექტის“ განხორციელება, რომელიც კოოპერატივებისთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით ან ლიზინგით გადაცემას ითვალისწინებს. ასევე პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ამ პროექტის მიზანი ფერმერების/გლეხების გაძლიერება და ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინფორმირება ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. შეხვედრები მოსახლეობასთან, რომელმაც მუნიციპალიტეტის ყველა თემი და სოფელი მოიცვა, ამ მიზანს ემსახურებოდა. სწორედ, რომ შეხვედრების შედეგია ის ფაქტი, რომ სამსახურს კოოპერატივის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციოდ ასეულობით მოქალაქე მოვიდა, ჩვენ მათ სათანადო დახმარება გავუწიეთ და უახლოესი დღეების განმავლობაში პირველი მაისისა და ჭალადიდის თემებში პირველი ორი კოოპერატივიც ჩამოყალიბდება.

ჩვენს თანამოქალაქეებს, ვისაც განზრახული აქვს კოოპერატივის შექმნა. ვურჩევ, მოვიდეს ჩვენთან და სამსახურის კვალიფიციური სპეციალისტები დახმარებას გაუწევენ იმ დოკუმენტების მომზადებაში, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კოოპერატივის იურიდიულ პირად რეგისტრაციისთვის არის საჭირო.

***წელს სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტში რა სიახლეები ინერგება ?***

–სოფლის მეურნეობის სამინისტრო სისტემატურად ახორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომელმაც გლეხებსა და ფერმერებს, სოფლის მეურნეობის დარგში ჩართულ მეწარმეებს მეტი სტიმული უნდა მისცეს. 2013 წელს დასახული მიზნის მისაღწევად არაერთი უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომელიც მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. კერძოდ:

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის“ პროექტი, რომლის ფარგლებში ფერმერების/გლეხების სარგებლობაში 1.25 ჰა-მდე სახნავი მიწის ნაკვეთები უსასყიდლოდ მოიხვნება, ხოლო აგრობარათების საშუალებით ასევე უსასყიდლოდ შეიძენენ სასუქს, პესტიციდს, სათესლე მასალას.

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტი, რომლის მიზანია გლეხების, ფერმერებისა და მეწარმეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს ფინანსური რესურსი, რითაც ჩვენმა ათეულობით მოქალაქემ უკვე ისარგებლა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქალაქ ფოთში შპს „იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ თანამედროვე სტანდარტების მარცვლეულის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გახსნა, რომელიც რეგიონის მოსახლეობას მარცვლეულის (სიმინდი, სოიო) რეალურ საბაზრო ფასად რეალიზაციის პრობლემას მოუგვარებს.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით მასშტაბური სამუშაოები განხორციელდება (რიონი-ხობის მდინარეთა შორის მასივზე, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის ტერიტორიის (ქვალონი-ჭალადიდის მასივი) მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია) სამელიორაციო კუთხით რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ ათასობით ჰა დაჭაობებული მიწის ფართობი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაგეგმილი აქვს 2-3 წელიწადში მთლიანად დაასრულოს მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები და მეორადი დაჭაობების პრობლემაც მოიხსნება.

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა და დაიწყო ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD), რომელიც მიზნად სურსათის წარმოების ზრდასა და სოფლად სიღარიბის შემცირებას ისახავს. პროექტს ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რეგიონალური განვითარების ასოციაციასთან (RDA) და თსუ საერთაშორისო ეკონომიკის სკოლასთან (ESET) ერთად. პროექტის ფარგლებში შერჩეულ ფერმერთა ჯგუფებს/ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ექნებათ ბიზნესის საფუძვლებსა და კოოპერატივის ორგანიზაციული მოწყობის საკითხებში ტრენინგების მეშვეობით ბიზნესის დაგეგმვის და მართვის შესაძლებლობები განავითარონ, რაც საშუალებას მისცემს მათ, იბრძოლონ თანადაფინანსების მისაღებად პროექტის ფარგლებში და სამომავლოდ თავიანთი ბიზნესი სწორად წარმართონ.

ასევე აქტიურ ფაზაში შედის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მიწების გამსხვილება-კონსოლიდაციას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

***ბატონო ანგულ, თქვენ სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკი ბრძანდებით, რომ იტყვიან, ამ დარგის სიყვარული ცხონებული მამათქვენიდან მოგყვებათ, ხომ არ შეაფასებდით მაშინდელ და დღევანდელ მიდგომას ამ დარგისადმი?***

–სოციალისტური ეპოქის სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც სხვა დარგები, გეგმიურ ეკონომიკას ეფუძნებოდა და ის ძირეულად განსხვავდება დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისაგან. მას შემდეგ რაც ძველმა სისტემამ ფორმაცია განიცადა, გარდამავალ ეტაპზე სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ შევძელით არსებული წარმოების საშუალებების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზებისა თუ სხვა სოფლის მეურნეობაში არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება. ასევე შეწყდა სავარგულების აგროქიმიურ გაკულტურებასთან დაკავშირებული სამუშაოები. მეცხოველეობა ჯიშების დაკნინების გამო არაპროდუქტიული გახდა. მოსახლეობა იძულებით მეურნეობრიობის დაქუცმაცებულ სტრუქტურაზე გადავიდა, რამაც სპეციალიზაციის შევიწროება, გენეტიკურად ერთგვაროვანი ჯიშების მოყვანა, თესლბრუნვის დარღვევა და მინდვრების დასარევლიანება გამოიწვია. არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ დარგის განვითარების გეგმა ხობის მუნიციპალიტეტისთვის და დღემდე ვცდილობთ, ამ გეგმის რეალიზაციას ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, რომელიც მოიცავს: მემცენარეობის (ერთწლიანი კულტურები) კულტურების მოსავლიანობის ზრდას თანამედროვე მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ ზრდას პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებითა და არსებული საკვები ბაზის ეფექტიანი გამოყენებით თევზის სატბორე მეურნეობების მოწყობას. ბუნებრივი თერმული წყლების ბაზაზე მებოსტნეობის შექმნას. მეჩაიეობის დარგის შენარჩუნებას მინიმალურ დონეზე მაინც (500 ჰა-ს ოდენობით) და მის ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მინი ფაბრიკის შექმნას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების ცენტრის შექმნას. დაფნის როგორც მაღალრენტაბელური კულტურის პროფილის გაფართოებას.



***ხელისგულივით იცნობთ მუნიციპალიტეტის კუთხე-კუნჭულს. წლები რაიონის გამგებელიც ბრძანდებოდით, შემდეგ იყო ტკივილიანი წლები... მერიდება, მაგრამ თუ უხერხული არ იქნება, მინდა გკითხოთ, რა გახდა ამის მიზეზი. თქვენდა სასახელოდ, თქვენი დანაშაულის არავის სჯეროდა.***

–არა მგონია, ჩემი წარსული განსაკუთრებულად საინტერესო იყოს ხობელებისთვის, რადგან ყველა კარგად მიცნობს, თუმცა რახან კითხვა დაისვა, შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ.

როგორც აღნიშნეთ, კარგად ვიცნობ მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, როგორც გეოგრაფიულად, ასევე თითოეულ კომლს, მათ სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს და ვწუხვარ, რომ მათი პრობლემების მოგვარებაში ჩემი წვლილი მცირედია. დღევანდელი ჩემი ფუნქციები არ მაძლევს საშუალებას მაქსიმალურად ჩავერთო მათი პრობლემების მოგვარებაში, ჩემი როლი შემოიფარგლება კონსულტაციებითა და რჩევებით სოფლის მეურნეობის დარგში. მიუხედავად ამისა, ვცდილობ, აქტიურად ვითანამშრომლო მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და მივაწოდო ინფორმაციები, რჩევები აგრარული დარგის აღორძინების პერსპექტივებზე.

რაც შემეხება მე, შრომითი საქმიანობა დავიწყე მუშის პოზიციიდან, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩემს პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბებაზე, შემაყვარა ალალ-მართალი, შრომისმოყვარე, გულწრფელი ადამიანები და მათთან ურთიერთობა, რასაც, თუ დამიჯერებთ, დღემდე ვინარჩუნებ. თქვენ ტკივილი ახსენეთ... გეტყვით, ადამიანის ცხოვრებაში არსებობს აღმავალი და დაღმავალი წლები, ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია. წლებს, რომელსაც თქვენ ტკივილიანს უწოდებთ, ჩემთვის კიდევ ერთი დიდი გამოცდილება და გვიან, მაგრამ კარგი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება ენდო შენი გუნდის წევრს და მან შეცდომაში შეგიყვანოს არა შეგნებულად, არამედ გამოუცდელობით. ამდენად, დანაშაულზე საუბარი ზედმეტია. გადაწყვეტილება, რომელსაც მე და ჩემი გუნდის წევრებს ედავებოდნენ, მიღებული იყო გამგეობის მიერ. ეს არ იყო გამგებლის პირადი გადაწყვეტილება. ოდნავ გათვითცნობიერებული კაციც მიხვდება გამგეობისა და საკრებულოს გადაწყვეტილების მნიშვნელობას. დადგენილება მიღებული იყო ფერმერული მეურნეობის განვითარების, მხოლოდ და მხოლოდ მიწაზე მიჯაჭვული გლეხის ხელშეწყობისთვის, პედაგოგების დიდი ხნის სახელფასო დავალიანების დასაფარავად. ასე რომ, არსებობს დანაშაულით პასუხისმგებლობა და არსებობს პასუხისმგებლობის საკითხის დასმის სხვა ფორმაც. რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო რაც მოხდა, მაგრამ ხმამაღლა ვიტყვი, რომ ზნეობრივად მართალი ვიყავი, ჩემი ხალხისთვის გავაკეთე და ამიტომ უხერხულობას არ ვგრძნობ, პასუხისმგებლობას კი.

***ალბათ, ამიტომაც თქვენი ცხოვრების იმ მონაკვეთმა მაინც არ დაგჩაგრათ. როგორც ვხედავთ, დღეს სამსახური გაქვთ, რამ განაპირობა ყოველივე?***

–ვფიქრობ, რომ საჯარო მოხელისთვის მთავარია პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მონაწილეობა მივიღე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და წარმატებით ჩავაბარე გამოცდები, რაც არის საფუძველი ჩემი სამსახურში ყოფნისა. სამწუხაროდ, ვერ წამოვიწყე ბიზნესსაქმიანობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოვერგე დღევანდელ საბაზრო ეკონომიკას, ასე, რომ ჩემი საარსებო წყარო არის მხოლოდ ხელფასი. დაჩაგრულად თავს არასოდეს მივიჩნევდი, არც მაშინ, როცა არ ვმუშაობდი. ადამიანი უნდა იყო მიზანდასახული, მოტივირებული, რისკიანიც კი, ხანდახან რისკი შეიძლება წააგო კიდეც, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია, წარმატებულიც გახდე. რაც შეეხება ცხოვრებას, ბუნებრივია, მრავალფეროვანია, რასაც ადამიანი უნდა მოერგოს.

***ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეგეძლოთ, რომელ მონაკვეთს ამოიღებდით თქვენი ცხოვრებიდან?***

–ცხოვრების გზაზე, რომელიც გავიარე, მთელი შეგნებით ვიღვაწე და ვიყავი დამოუკიდებელი, თავისუფალი. შემთხვევით არაფერი არ მიკეთებია, ასე, რომ არაფერს შევცვლიდი, რადგან შემიძლია ვთქვა, რომ უკან მოხედვის არ მრცხვენია, არც მეშინია. ცხოვრება რთულია და ფიანდაზად არავის ეგება, მაგრამ ღირსებაშელახული არასოდეს ვყოფილვარ.

***ძველი მეგობრებიდან ბევრი შემოგრჩათ?***

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მიზანი იყო, რომ ყველა ადამიანს მეგობრულად მოვქცეოდი, თუმცა მყავდა გამორჩეული მეგობრებიც, ზოგი დაიღუპა, ვინც ვართ, რა თქმა უნდა, კვლავ მეგობრებად ვრჩებით.

***რა თვისება უნდა ჰქონდეს ადამიანს?***

–ადამიანი ერთგული და ღირსების მატარებელი უნდა იყოს.

***პატიება შეგიძლიათ? ან რას ვერ პატიობთ ადამიანს?***

–ასე კონკრეტულად არ მიფიქრია, არაკაცური საქციელი, ზოგადად უზნეობა ძნელი საპატიებელია. საუკეთესო შურისძიება არის შენი წარმატებები. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, პირად საკითხებზე ნებისმიერ დროს მზად ვარ თქვენი გაზეთის მეშვეობით უფრო ვრცლად ვისაუბროთ.

***ესაუბრა მერი ლაგვილავა.***

# 9 აპრილი—დღე ტრაგედიის და ამაღლების!

## ორ საუკუნეში გადანაწილებული სევდა...



1989 წელი. იმ წელს ჩვენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები გვერქვა და სულ რაღაც ერთ თვეში ცხოვრება უკვე სხვა ასპარეზზე გვიქადდა გამოცდას... მაგრამ ჩვენს ირგვლივ სულ სხვაგვარად ეწყობოდნენ დღეები და თითო დღე მთელს საუკუნეს უტოლდებოდა. უტოლდებოდა საუკუნეს მეოცეს, რომლის შვილები გვერქვა და რომელ საუკუნეშიც უნდა გვეწერა ჩვენი დასაწერი სიტყვა... უკვე ,,საბჭოთა კავშირი" არ იყო ჩვენი ერთიანი დიდი და დიდებული სამშობლო, რადგან ისტორიის მასწავლებელი ჯერ კიდევ გაუთავისებელი სითამამით განზე დებდა უკვე მერამდენე თაობის სასწავლო წიგნს და იდუმალი ხმით გვიყვებოდა ჩვენს ერთადერთ სამშობლოზე—საქართველოზე...

რომ არც მერაბი და არც ზვიადი არ იყვნენ ისინი, ვინც უნდა ედევნათ სამშობლოში, სამშობლოსთვის... მაგრამ ეს იყო ჯერ კიდევ ჩუმად სათქმელი, რადგან მასწავლებელსაც, მშობელსაც, გარეთ, ოფიციალურად ეს ეკრძალებოდა...

მახსოვს ჩემი პირველი ღამისთევა ბებოსთან, რომელმაც აკანკალებული ხმით, პირველად მიპასუხა, თუ რატომ მესმოდა საღამოობით დიდი ბებო მარიამის ჩუმი კრულვა ,,წითლების", ბოლშევიკების, კომუნისტების უსინდისობის გამო... რატომ მიკრძალავდა მასთან ოთახში წითელი ყელსახვევით შესვლას, რატომ არასოდეს მითქვამს მისთვის, ზუსტად ამ რიდის გამო, რომ მე, მისი შვილთაშვილი პიონერულ და კომკავშირულ პატაკს ვაბარებდი და მერე პატაკს ვიბარებდი სხვათაგანაც...

,,ბებო,ადრე რატომ არ მითხარი?.. მაშინ ასეთი ტყუილი რად სწერია ისტორიის წიგნებში, შეიძლება წიგნი იტყუებოდეს?" მან გაიღიმა და მთხოვა თავიდან წამეკითხა მისი ლექსი ,,შიში"...

—მაგრამ, მე ხომ ის წაკითხული მაქვს...

,,არა დაცემა—უნდა
წამოვდგეთ ისევ...
შიშით დაქცეულს-შიშზე
აღდგომა შველის".

—შენ გალაკტიონიც წაკითხული გქონდა, მაგრამ ახლა რომ კითხულობ, რას გრძნობ? შემეპასუხა ბებო.—არა, ახლა სხვანაირად შემლებ წაკითხვას...

მისი მწარე ღიმილით მივხვდი, რომ დამთავრდა ჩემი გულუბრყვილო ,,საბჭოთა" ბავშვობა... და ხვალიდან იწყებოდა რაღაც სხვა... რომ ამ წუთებიდან მე ლექსებშიც ვიპოვიდი სხვა სიმართლეს, რომელიც თურმე ასე ინილბებოდა შიშით...

და ჩემს თაობას უფრო მეტი ეფიქრებოდა საქართველოზე...

,,თავისუფლება სულს ისე
მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს
წყარო ანკარა."

ფილაქანს დანარცხებული გალაკტიონის სხეული ზებუნებრივი სიმაღლიდან გვეძახდა თითქოს...

მახსოვს 9 არა... 10 აპრილის სულცივი დილა... ჩვენ სკოლაში ხმაამოუღებლად მივედით ერთმანეთთან და მერე ერთმანეთისთვის ნათქვამი გადაწყვეტილება ,,წავიდეთ, მონასტერში... დავანთოთ სანთლები..." ჩემი კლასი ფეხით მიუყვებოდა გზას მონასტრისკენ... ახლა ბუნდოვნად ვიხსენებ რამდენიმე წითელ მიხაკს, რატომღაც რომ ვიყიდეთ. გამყიდველის კითხვას, რად გინდათ?.. ჩვენ არ ვუპასუხეთ და წავედით...

მაგრამ ჩვენ დაგვაბრუნეს. დიახ, დაგვაბრუნეს ჩვენ ნაბიჯებს დადარაჯებულმა მშობლებმა... მასწავლებლებმა... მეზობლებმა...

მათ უკვე სიმართლე იცოდნენ. ,,დღეს მოითმინეთ! ხვალ ყველა ერთად წავალთ!"

და ჩვენ პირველად შეგვშურდა ყველა ,,არაფორმალის", ვისაც ამქვეყნად აღარაფრის არ ეშინოდა, რადგან უკვე არ იყვნენ ბავშვები და უკვე იმაზე მეტი შეეძლოთ, ვიდრე ჩვენ, მე ტკივილით მშურდა ჩემი თანატოლის, ნათია ბაშალეიშვილის სახელის —ვისი დედულეთი ხეთა უსაზღვრო მწუხარებით ესიყვარულებოდა პატარა გმირის სახელს...

„ხვალ" უსწრაფესად დადგა.

მახსენდება ხობის მონასტრის გალავანთან შეკრებილი ხობელები, უკვე მაისის 19-ს, როცა მათი სულების საცხოვნებლად პირველი პარაკლისი გადაიხადეს და მონასტრის ასასვლელთან ჩემზე რამდენიმე წუთით ადრე გამოსული ხვიჩა შონია, სულმნათი მალხაზ ბუბუტეიშვილი... მერე ჩემი ,,ლოცვად დაწერილი ლექსი". ამ ლექსს, თუ ტეტრალოგიას, თუ მონოლოგს... მთელი ღამე ვწერდი, ვტიროდი, ვშლიდი, ვწერდი და ვტიროდი, ჩემი ხელით გაკეთებულ გრაგნილს შავი ლენტი მივაკარი... ეს იყო ჩემი პირველი ნაწერი, რომელიც სახლში არ წამიკითხავს და არ მიკითხავს, როგორია? ეს არ იყო თეატრალიზება მოვლენის, ეს იყო პროტესტი ჩემი სამშობლოს, თანატოლების სისხლის, წინაპრების გადასახლების, დაღუპვის, დიდი ბებოს ჩუმი ტკივილის, დამალული ჯვრის, ნათია ბაშალეიშვილის დედულეთის მწუხარების... ჩემი თანატოლის თამუნა ჭოველიძის, მარტვილში ცას აწვდენილი კივილის-აზა ადამიას მარტვილობის გამო, ელისო ჭიპაშვილის ჯერ არ მოვლენილი შვილის, ეკა ბეჟანიშვილის, მანანა ლოლაძის, უკვე მხცოვანი ზაირა კიკვიძის და თინა ენუქიძის, ნინო თოიძის, ნატო გიორგაძის, თამუნა დოლიძის, თამარ მამულაშვილის, მანანა მელქაძის, მამუკა ნოზაძის, გია ქარსელაძის, ნანა სამარგულიანის, შალვა ქვასროლიაშვილის, ნოდარ ჯანგირაშვილის, მზია ჯინჭარაძის, მარინა სამარგულიანის გატაცებული სიცოცხლის გამო...

მერე ხობის შემოსასვლელში ქვა დაიდგა, წარწერით ,,აქ აღიმართება ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი."

ჩვენ სკოლა დავამთავრეთ...

ჩვენ სტუდენტები გავხდით...

საქართველო დამოუკიდებელი გახდა...

ეს ფოტო უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ორი ათეული წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ირაკლი შონიამ მეგობრის სახლში და მომიტანა. ჩემს წინ გაიელვა ამ დღემ. ეს წლისთავია, ცხრა აპრილიდან გასული ერთი წელი...

ხობში ჩამოსულს, ხობის შესასვლელთან ის ეული ქვა ისევ ისე დამხვდა... ჯერ კიდევ კარგად იკითხებოდა... აქ „აღიმართება ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი"...

გული სხვებივით მეც დამწყდა... მისი არ თუ ვერ აღმართვის გამო... რამდენიმე კლასელთან ერთად შევუერთდი ჩემზე უმცროს მეორესკოლელებს, მონასტერში უამრავი ხალხი იდგა და მდუმარედ ლოცულობდა, ენთო სანთლები მათი სულების საოხად და სამშობლის გასაძლიერებლად...

მას მერე ათასგზის დაეცა ჩემი სამშობლო.

დაიწყო სამოქალაქო ომი... მოკლეს ხობის პირველი პრეფექტი თენგიზ ქაჯაია. უკვე ქართველი ღვრიდა ქართველის სისხლს.

მიივიწყეს აპრილის გმირები... ქვა კი მემორიალს ელოდა...

აფხაზეთ და სამაჩაბლოდაკარგულ საქართველოს ტკივილად ახალი მსხვერპლი და უსახელო გმირი გაუმრავლდა...

მერე ცხოვრებამაც თავისი გზით იარა თუ ვერ იარა...

2007 წელი. სამშობლოში დაბრუნებულს ისევ ასე დაგვხვდა ქვა. ხობის შემოსასვლელთან ფერწასულ წარწერას ვკითხულობდი. ,,აქ აღიმართება ცხრა აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი".

2008 წლის აგვისტოს 8. აპრილის ტკივილი განახლდა ხობისწყლის მიღმა ცხრა აპრილის გმირთა, ხოლო გამოღმა ნაპირზე გაუგონარი და გაურკვეველი ომის მსხვერპლთა მემორიალი აღიმართა... ახლა მიშიკო იოსავა, გოგა ბერაია, ლევან ჭოჭუა, გოგა ჭითანავა, ზვიად დათუაშვილი, ლევან ტურავა, დათა ხურცილავა, გოგიტა ქარჩავა, რამაზ კიტია სანთლებს ელოდნენ...

იმ დღეს ჩემი თაობა უკვე არც მოსწავლედ იდგა აქ და არც სტუდენტად... ჩემი თაობა დაღლილ თაობებს შეერთებოდა და დარდმომრავლებულ თვალებში ცხრა აპრილის სევდა ილექებოდა ისევ...

,,აპრილის მზეო, ამოანთე
ცრემლი,
მალამოდ ექეც უკიდეგანო
ნაღველს,
ამ გაზაფხულზე უცხო
ჯალათთა ხელით,
მოდი, აჩეხილ ვაზის
ტირილი ნახე!"

ახლა 2014 წელია. იმ ცრემლმდინარი აპრილიდან ოცდახუთი წელი გავიდა. არა, კი არ გავიდა, ორ საუკუნედ გადანაწილდა, დაიხლიჩა, დანაწევრდა და ისევ მომეახლა თავიდან წაკითხული გალაკტიონი:

„თავისუფლება სულს ისე
მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს,
წყარო ანკარა..."

**როზეტა შულაია,**
*ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი კორესპონდენციების მომზადებისა და დოკუმენტბრუნვის საკითხებში.*

## „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!.."



ხეთა. „ნათიას წყარო"... რამდენი ტკივილი, რამდენი ცრემლია ჩაქსოვილი ამ წყაროს მოსახელის—ნათია ბაშალეიშვილის ხსოვნაში. ის ერთი უმანკო, 16 წლის, თბილისის №51 საშუალო სკოლის X კლასელი გოგონა იყო, რომელიც საქართველოს დედაქალაქში რუსეთის მორიგ აგრესიას შეეწირა...

1989 წელი, აპრილი... უამრავი დაჩეხილი, დაჭრილი, მოწამლული ადამიანი... სისხლის გუბეები... შემზარავი რეალობა, ტკივილიანი, ცრემლიანი ღამე ნამდვილი სასაკლაო იყო თბილისში... ამაზრზენი სანახავი იყო დალეწილი დედაქალაქი...

ათეული წელი გავიდა. ქალაქი კვლავ მწყობრში ჩადგა. ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა, მთავრობები შეიცვალა... მაგრამ, ის ტკივილი, რაც 9 აპრილს მოჰყვა, ვერა და ვერ მოიშუშა იმ ოჯახებმა, ვინც იმ ღამეს შეეწირა, ვერ დაივიწყა ვერც ქალაქმა და ვერც სრულიად საქართველომ.

ნათია ბაშალეიშვილი თითქმის ხობში—ხეთაში გაიზარდა. ხეთა მისი დედულეთი გახლდათ. ზაფხულს აქ ატარებდა ბებია–ბაბუასთან, ბიძასთან და მის ოჯახთან. დედა მაული ლაცარია მოცალეობის ჟამს, ნათიას ახლდა და ერთად ისვენებდნენ... აქ მას ბევრი თანატოლი, მეგობარი თუ ნაცნობი ჰყავდა. ყველამ, ბიძის—ბიჭიკო ლაცარიას ოჯახმა, მეზობლებმა და ნათესავებმა ტკივილი დღემდე ვერ მოიშუშეს. სხვა რომ არაფერი, „ნათიას წყარო" რელიქვია გახლავთ მის მოსაგონრად, მის არდასავიწყებლად.

15 წლის წინათ ხეთაში „ნათიას წყარო გაკეთდა. ახლაც, 9 აპრილს, ხეთის ცენტრში „ნათიას წყარო" კვლავ ყვავილებით მოიფინება, აკიაფდება სანთლები მისი ხსოვნის სადიდებლად. კვლავ ითქმება მისი მოსაგონარი, კვლავ აცრემლდება საზოგადოება და სრულიად საქართველო... უთვალავი სანთლები აციმციმდება და უთვალავი ყვავილით გაივსება 9 აპრილის მემორიალი დედაქალაქში...

დიდი ტკივილის მიუხედავად, საქართველოში მუდამ აღინიშნება 9 აპრილი, დაღუპულთა ხსოვნა არასოდეს განელდება, ის ტკივილი მუდამ ტკივილად დარჩება—„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს!.."

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს თითოეულ დაღუპულს, ნათია ბაშალეიშვილს!

**ნანი კილასონია**



„დ ე დ ა ე ნ ა"

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

# „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა"



***წლიდან წლამდე იმდენად მძიმდება ჩვენი საჯარო მეტყველება, რომ ქართული სალაპარაკო ენა არათუ გასცდა სალიტერატურო ნორმებს, არამედ, უკვე შინაარსის გაგებაც ჭირს, ისეთი უცნაური ქართულით მეტყველებენ ჩვენი პოლიტიკოსები, ჩემი კოლეგები თუ უბრალოდ ქუჩაში გამვლელები. იმის პარალელურად, რომ საქართველოს არაქართველი მოქალაქეებით დასახლებული რეგიონების მცხოვრებლებთან საკომუნიკაციო ენა საერთოდ აღარ გვაქვს. ბოლო 9 წელია, საერთაშორისო ტრიბუნებზე საქართველოს სახელმწიფო ენა თითქმის არავის გამოუყენებია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იტალიის პრეზიდენტმა ინგლისურად მოსაუბრე ჩვენს ექსპრეზიდენტს პროტოკოლის დაცვა სთხოვა და ქართულ ენაზე ლაპარაკი აიძულა. პარლამენტში უკვე შესულია კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ (რადგან სარეკლამო ბილბორდებიდან ჯერ კვლავაც ახალგაზრდა უცხოურმა ენამ უკვე განდევნა სამყაროსავით ძველი ქართული ენა), თუმცა, სანამ ხალხის რჩეულები ჩვენს დედაენას რამეს უსაშველებენ, იმას, თუ სადამდე შეიძლება, მიგვიყვანოს სახელმწიფო ენისადმი ასეთმა უდიერმა დამოკიდებულებამ, ლევან ღვინჯილია განგვიმარტავს.***

## „ქართველს მხოლოდ მისი ენა აქცევს ქართველად"

***მეჩვენებოდა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს რცხვენოდათ ქართულ ენაზე ლაპარაკი საერთაშორისო ტრიბუნებიდან. პრეზიდენტმა შენიშნა კიდეც ერთხელ: ქართული სულ სამ მილიონ ადამიანს ესმის დედამიწაზე, ამიტომ ინგლისურს უნდა მივეძალოთო, თუმცა, ჩემი აზრით, ქართულად მეტყველებდა რუსთაველი და ეს სავსებით საკმარისია ამ ენის პრესტიჟისთვის.***

–ქართულ ენიდან გასვლა გიწევს, როდესაც საერთაშორისო არენაზე საქმიანობ, არ მინდა, ვთქვა–„მოღვაწეობ". სამწუხაროდ, ბოლო დროს ამ სიტყვასაც დაეკარგა თავისი ნამდვილი შინაარსი: კაცი სულ რაღაც თვენახევრით იყო წასული სადღაც სამუშაოდ და ამბობს: აქა და აქ ვმოღვაწეობდიო; მას ჰგონია, რომ მისი „საქმიანობა" იყო „ღვაწლი". ის, რომ საზღვრები გაიხსნა; ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები გააქტიურდა; ის, რომ საქართველო ერთიან გლობალურ პროცესებში ჩართვას იწყებს, ბუნებრივია, ითხოვს ენობრივ ურთიერთობათა გააქტიურებასაც და, შეიძლება, გარე სამყაროსთან ურთიერთობა ქართულად ყოველთვის არ იყოს მოსახერხებელი და შესაძლებელი, მაგრამ ამ ყმაწვილებს, რომელთაც, ძალაუფლება რომ ჩაიგდეს ხელში, ჯერ სწავლა-განათლებაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული, ბუნებრივია, უჩნდებოდათ სურვილი და როგორც ჩანს, დღესაც აქვთ, უცხოელებს თავი მოაწონონ მათი ენის ცოდნით და საერთაშორისო ღონისძიებებზე „მოდური" გახდა ინგლისურად საუბარი, უფრო ამერიკული– სლენგი. ამერიკელების დამოკიდებულება თავიანთი ენისადმი გარკვეულწილად ჩვენთანაც რაღაც ასახვას ჰპოვებს. ამერიკელს აქვს სახელმწიფო, აქვს ტერიტორია, კარგად მოწყობილი ქვეყანა, მაგრამ სხვა ქვეყნის ენაზე ლაპარაკობს და, ბუნებრივია, უჩნდება სურვილი, ჰ ქონდეს თავისი, ანუ „ამერიკული ენა", რომელიც ჩამოყალიბდება მაშინ, როდესაც მაქსიმალურად დაშორდება ბრიტანულ ინგლისურს. ამერიკელებმა ამას მიაღწიეს ენისადმი მიშვებული, თავისუფალი დამოკიდებულებით. ამიტომაც წარმოუდგენელია, იქ ვინმემ დაიწყოს ინგლისური (ბრიტანული) სალიტერატურო ენის, შექსპირის ენის სიწმინდის დაცვა, ნორმების ჩამოყალიბება და შემდეგ ამ ნორმების დამკვიდრებაზე ზრუნვა...

***ღიმილს იწვევს, იმდენად არაბუნებრივი იქნება.***

–დიახ, ვიღაცას ეს შეიძლება, სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ენისადმი ამგვარი დამოკიდებულების გადმოტანას საქართველოში, როდესაც შენი ენისადმი გაქვს ერთგვარად აგდებული დამოკიდებულება, ნორმების დაცვას ყურადღებას არ აქცევ, ტერმინოლოგიურ საქმიანობას არ ეწევი და ქართული ტერმინების დამკვიდრებაზე არც კი ზრუნავ, როგორც გინდა, ისე ლაპარაკობ, ოღონდაც გააგებინო, შედეგად მოსდევს ის ვითარება, რაც გვაქვს დღეს.

***თუმცა სულ სხვანაირია ევროპელების დამოკიდებულება თავიანთი ენებისადმი.***

–ამერიკულის შემთხვევა იმიტომ მოვიყვანე, რომ თვალსაჩინო მაგალითია. როდესაც ერთი და იგივე ენა სხვადასხვა ტერიტორიაზე ვრცელდება იზოლირებულად, ეს იწვევს ხოლმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფორმებისა და გამოთქმების გავრცელებას, რის შედეგადაც მივდივართ ენობრივ თავისებურებათა დაშორიშორებამდე (შდრ. ფერეიდნული დიალექტის შემთხვევა, რომელიც ოდესღაც კახური იყო), მაგრამ, თუ ამერიკელისთვის ეს არის გზა სხვა („ამერიკული") ენის ჩამოყალიბებისა, ჩვენთვის, ქართველთათვის ეს დამღუპველია, რამდენადაც **ქართული ენა არის დედაენა ქართველი ერისათვის. „დედაენა" მხოლოდ „მთავარს" და „უმთავრეს ენას" არ ნიშნავს, ის აყალიბებს ერს ერად.** რომ არა ქართული ენა, ისტორიული ქართველური ტომები ერთ ქართველ ერად ვერ ჩამოყალიბდებოდა. მეგრელ-ლაზებს, სვანებსა და ქართებს, კიდევ სხვა ენათა წარმომადგენელ ჩვენი ერის შექმნაში მონაწილე ტომებს ქართულმა ენამ მისცა ეს პერსპექტივა და ქართული ენით მოხერხდა ის, რომ დღეს ქართველ ერში მოიაზრება არა მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველური ტომები, არამედ ის ეთნოსებიც, რომლებიც მხოლოდ საქართველოში ცხოვრობენ, სხვა სამშობლო არსად აქვთ და ამ დროს ქართველურ ენათა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. მხედველობაში მყავს წოვათუშები. წოვათუშური ანუ ბაცბური არის ჩაჩნურისა და ინგუშურის მონათესავე ენა, მაგრამ წოვა-თუშები დღეს, აგრეთვე, ქართველები არიან, ისეთივე ორენოვნები, როგორც მეგრელ-ჭანები (ამავე გზას ადგას პანკისის ხეობის კიდევ ერთი მოსახლეობა ქისტების სახით, ასევე, არიან შემოსული ქართულ ენობრივსახელმწიფოებრივ სხეულში უდიები, ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანის მცხოვრებლები. ეს არის ისტორიული ალბანეთის გადარჩენილი მოსახლეობა, ჩამოსახლებული მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ისინიც უკვე საკუთარ თავს, სავსებით სამართლიანად, აიგივებენ ქართველებთან.

***ოსების შემთხვევაშიც ასე არ არის?***

–ჩვენში მცხოვრები ოსები უკვე ლინგვისტურად ქართველი ერის ნაწილად იყო ქცეული, რა გზასაც უნდა დავდგომოდით აფხაზების შემთხვევაშიც. ეს ერთიანობა მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით და ამიტომაც ამბობდა ფარნავაზზე მეისტორიე: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა". თუ სახელმწიფოს გათვალისწინებული არა აქვს ენის შემაკავშირებელი ფუნქცია, მაშინ ეს ფუნქცია ნელ-ნელა მოირყევა და თვითნებობას ეძლევა გასაქანი. საქართველოში არსებობდა სალიტერატურო ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია; მას „მუდმივი" კი ერქვა, მაგრამ სააკაშვილისთვის სხვა რამ იყო „მუდმივი", ეს რომ ყოფილიყო და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა იმიტომ, რომ „მათ" იციან, როგორ უყურებენ თავიანთ ენას ამერიკელები, ენაზე ზრუნვა სასაცილოა ამერიკელისთვის, მაგრამ საქართველოში ეს საკითხი სხვანაირად დგას. ***ქართველისთვის ენა არის თავისთავადობის, თვითმყოფადობის, გადარჩენის ერთადერთი საშუალება.*** თითოეული ერი, ამ სიტყვის ეთნიკური და არა „ამერიკული" მნიშვნელობით, არის კაცობრიობის სახეობა და ეს სახეობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს. სხვადასხვანაირად უყურებენ სამყაროს: სომეხი, რუსი, ბერძენი, ჩინელი... შესაბამისად, განსხვავებულად აზროვნებენ და განსხვავებულად ქმნიან. ქართველი, თავისი ენის კვალობაზე, ქმნის „ვეფხისტყაოსანს", „ჩაკრულოს", ვაზისა და ხორბლის სხვადასხვანაირი ჯიშები გამოჰყავს. ვიღაცამ, შეიძლება იკითხოს: რა კავშირშია ენა ვაზთანო? სწორედაც რომ უშუალო კავშირშია, რადგანაც ეს არის ქართული აზროვნების, სამყაროს ქართველისეული ხედვის, მის განსხვავებულ აზროვნებაზე დამყარებული ქმნადობის შედეგი და ეს ასევე ძალიან კარგად ჩანს ქართულ პოლიფონიაში, რომელიც უბადლო და უანალოგოა მთელ მსოფლიოში და იმდენად განსხვავებულია, რომ ამერიკელებმა, როდესაც სხვა პლანეტელების გასაოცებლად დედამიწიდან კოსმოსში რაღაც ატრიბუტები გააგზავნეს, მათ შორის ერთ-ერთი იყო ქართული ხალხური სიმღერა. ქართველებისთვის არც უკითხავთ, ისე გააგზავნეს, როგორც დედამიწაზე არსებული კაცობრიობის ერთ-ერთი სახეობის მიერ შექმნილი უნიკალური შემოქმედებითი ნიმუში. არადა, „ჩაკრულოსნაირი" რამდენი გვაქვს ქართველებს აქ? ეს არის ქართულ ენაზე მოაზროვნე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის ნიმუში. კულტურული ქმნადობა ენობრივ შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. ქართველს მხოლოდ მისი ენა აქცევს ქართველად.

***ჩვენი მეტყველების დამახინჯება ხომ მიანიშნებს აზროვნების დამახინჯებაზეც?***

–ეს არის ამის სიგნალი, ოღონდ პირიქით, ეს იმის გამოვლინებაა, რომ ადამიანს შიგნით, სააზროვნო აპარატში აქვს რაღაცა მოუწესრიგებელი. მეტყველების თავისებურებასა და ენის გამართულობას რომ არ აქცევენ ყურადღებას, ამას ემატება ისიც, რომ მახინჯდება წარმოთქმული ტექსტის შინაარსიც.

***ჩვენ გვყავდა განათლების ერთი მინისტრი, რომელიც გამართულად ვერ წერდა მარტივ სიტყვას და კიდევ ერთი მინისტრი, რომელიც მეტყველებისას ქვემდებარესა და შემასმენელს პირში ვერ უთანხმებდა ერთმანეთს.***

–თუ შაშკინი გყავთ მხედველობაში, მას რუსულენოვანი განათლება აქვს მიღებული და ამიტომაც უჭირდა მოთხრობითი ბრუნვის სწორად გამოყენება. საერთოდ, საქართველოში მცხოვრები არაქართველურენოვანი ეთნოსების პრობლემაა მოთხრობითი ბრუნვა. ზოგჯერ მსგავსი რამ ეთნიკურ ქართველებსაც ემართებათ ხოლმე, თუ სხვა (ინდოევროპულ) ენაზე აქვთ მიღებული განათლება. მოთხრობითი ბრუნვა ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც მათ, ამ მხრივ, „ამხელს". შორს რომ არ წავიდეთ, ქვეყნის ხელისუფლების ეს დამოკიდებულება თავისი ენისადმი არის ასახული იმ ვითარებაში, რაც დღეს გვაქვს, ხოლო საკუთრივ ეს ვითარება ვიღაცისთვის არის ქვეყნის სამომავლო გეზის შემადგენელი ნაწილი. იქეთკენ მივდივართ, რომ ეროვნული თავისებურება კი არ იყოს შენარჩუნებული და განვითარებული, პირიქით, განსხვავება იყოს ნიველირებული და მაქსიმალურად დავუახლოვოთ ერთმანეთს სხვადასხვა ეთნოსების მოქალაქეობრივი ერთიანობა. გზა არის ორნაირი: ან „სინგაპურის აშენება", როდესაც სახელმწიფო ენა იქნება სხვა (მაგალითად, ინგლისური) ან ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც სხვა ეთნოსების წარმომადგენლები, სავალდებულო წესით, ისევე, როგორც ეს არის ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, გნებავთ, იმავე ამერიკაში, დაეუფლებიან სახელმწიფო ენას. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ბოლო ათწლეულების განმავლობაში საამისოდ მნიშვნელოვანს თითქმის არაფერს აკეთებს.

***ძალიან დიდი ეჭვი მიჩნდება, რომ ჩვენი უცხოურ ენაზე ამეტყველებული ჩინოვნიკები ისეთივე ხარისხით მეტყველებენ, როგორც ქართულად?***

–ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი იტყოდა ხოლმე, **არ შეიძლება, ადამიანმა მშობლიურ ენაზე უკეთესად იცოდეს უცხო ენაო.** არა მხოლოდ ის არის მთავარი მშობლიურ ენაზე მეტყველებდე გამართულად, არამედ, ამ ენის შენარჩუნების, განვითარებისა და დაფასების მოთხოვნილება უნდა გქონდეს, რადგან ეს არის შენი ერის პერსპექტივის გამომხატველი. დღეს ჩვენს სახელმწიფოს უჭირს თავის მოქალაქეებთან ლაპარაკი, რადგან, სახელმწიფო ენაზე თუ დაელაპარაკება, მას მოსახლეობის მესამედი ვერ გაუგებს. ეს პრობლემა მოსაგვარებელია და მას ინგლისურის ინტენსიური სწავლება ვერ უშველის. ამას

>>>>>>> 7



# „დედაენა“

რუბრიკას უძღვება მანანა შულაია.

## „ქართული ენაშია ჩვენი ქართველობა“

### „ქართველს მხოლოდ მისი ენა აქცევს ქართველად“

<<<<<<<<<<<< 6

შემდეგ მივყავართ სეპარაციისკენ და იქითკენ, რომ ის ადამიანი გაუცხოებული ხდება. არასდროს ქისტებს, წოვა-თუშებს, უდიებსა თუ სხვებს, ვისაც ენობრივი ბარიერი დაძლეული აქვთ, თავში არ მოუვათ სეპარატიზმი. მაგრამ აგერ თითქმის ჩვენ თვალწინ, 1828 წელს, პასკევიჩის დროს სამცხე-ჯავახეთში რომ ჩამოასახლეს თურქეთის ტერიტორიიდან სომხები, თურმე, ეს ყოფილა „სომხეთის ძირძველი ტერიტორია“ და იქ ჩვენ, სამწუხაროდ, ქართული ენა ჯეროვნად ვერ გავავრცელეთ.

მე ვიტყოდი, არ გავავრცელეთ, რადგან ყველა ხელისუფალს აძლევს ხელს, ჰყავდეს სახელმწიფო ენის არმცოდნე მოსახლეობა, რომელიც არჩევნებისას გარანტირებულად მისცემს ხმას, მათ შორის, იმიტომაც რომ გაუცხოებულია.

ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობა რამდენიმე გზის იყო, მაგრამ - წარუმატებელი. მათ შორის, მაშინაც, როდესაც მეც ვიყავი სახელმწიფო მოხელე და ახლა ზუსტად ვიცი, რომ ის გზები, რითაც ხელისუფლება ცდილობდა ამ ხარვეზის გამოსწორებას, იყო მცდარი.

***მეტყველების რა სიმახინჯეებია ყველაზე ყურში მოსახვედრი?***

–მე უფრო ზოგადს მივაქცევდი ყურადღებას. ჩვენ დღეს გვაქვს კანონი რეკლამის შესახებ, რომელიც 1998 წელსაა მიღებული და, სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მათ შორის - დედაქალაქის მერი და საკრებულო) აბსოლუტურად არაფერს აკეთებენ, რომ ამ კანონის მოთხოვნები დაიცვან... და **დღეს რუსთაველის პროსპექტიდან, დედაქალაქის მაღლივი შენობებიდან ქართული ანბანი განდევნილია.** ამ ობიექტების მეპატრონეთა უმეტესობას შენი სახელმწიფო ენა ფეხებზე ჰკიდია და ხელმძღვანელობს დედაენის ხარჯზე მეტი ფულის დაზოგვის პრინციპით. ამგვარი დამოკიდებულების მიმართ ბევრ უცხოურ ქვეყანაში იქნებოდა ძალიან მძაფრი რეაქცია ხელისუფლების მხრიდან, ჩვენში კი ამას რატომღაც ვერც კი ამჩნევენ ისინი, ვისაც კანონით ევალებათ ამაზე ყურადღების გამახვილება..

რაც შეეხება იმას, თუ რანაირად მახინჯდება ქართული ენა, ხშირად ეს არის არცოდნა სიტყვათა მნიშვნელობისა. მაგალითად, არცოდნა ისეთი სიტყვის მნიშვნელობისა, როგორიც არის „სპონსორი“. ჩვენ ყველა გადაცემაში გვესმის, რომ გადაცემის სპონსორია ესა და ეს. შესაბამისი კანონი განმარტავს, რომ „სპონსორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი“... და ასე შემდეგ. მთავარია, რომ ის აუცილებლად „პირი“ უნდა იყოს, უნდა მოიხსენიებოდეს კითხვით - „ვინ?“... როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ გადაცემის სპონსორია „ჰიგიენური პაკეტი“, ან გაყინული „ქათმის ბარკალი“, ან „კათხა ლუდი“ და მისთანანი, უტიფრად გვატყუებენ, რადგან არ შეიძლება, გადაცემის სპონსორი იყოს „რა“ ჯგუფის სახელი. რას ნიშნავს ეს? რომ არც ერთ ტელე- თუ სარეკლამო კომპანიაში არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა?! ეს ხდება იმიტომ, რომ სარეკლამო და სასპონსორო თანხები განსხვავებულად იბეგრება. ერთი სიტყვის შესახებ ვმსჯელობთ და ვრცელი საუბარი კი გამოგვივიდა, მაგამ ამ ერთ მაგალითში ჩანს დამოკიდებულება შენი ენისადმი. თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართველი, როგორც კაცობრიობის სახეობა, მანამ სახლობდეს დედამიწაზე, სანამ საკუთრივ დედამიწა იარსებებს, ეს იქნება შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანთა ეს სახეობა ქართულ ენაზე იაზროვნებს, იმეტყველებს და კულტურულ ქმნადობას განაგრძობს, სხვანაირად ჩვენ შეიძლება, რომელიღაც ერში გავითქვიფოთ. ფიზიკურად ჩვენი „დეენემის“ მატარებელი ადამიანთა რაღაც რაოდენობა არსებობდეს, მაგრამ არ იქნება ქართული ენა, ქართულად აზროვნება. ჩვენზე ბევრად უფრო დიდი ეთნოსები გადაგვარებულან, გამქრალან დედამიწის ზურგიდან. მე-19 საუკუნის შუა წლებში თურქეთში გადასახლებული უბიხები მთლიანად გაქრნენ და დღეს უბიხური, სამწუხაროდ, მკვდარი ენაა... ეს პროცესი გრძელდება.



### ანბანქება

კონსტანტინე გამსახურდია

ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს.

და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

სავსებით მარტო ვარ ამ წუთშიაც. მთვარე სამთვარიოში ჩასულა უკვე და მესმის თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი—ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

მესმის თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას.

ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი მათ რა მოუვათ. თამარ შარვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას, თუ თარაშ ემხვარს?

ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო ძაბულის თუ თამარ შარვაშიძეს? ტარიელ შარვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე– „ქრისტეს ფეხის მკვნეტელი?“

ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები...

მკლავი მომექანცა, მეტკინა წელი, ვზივარ და მაინც ვწერ (ჩემი სული ჩემ სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა).

შევდგები.

ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

**ანი,** ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

**ბანი,** ყელმოღერილ სურებს, დოქებსა და ჭინჭილებს არა ჰგავს?

**განი,** ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

**ღ, ყ, ლ, დ.** –წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,
სანის,
ხარის,
ნარის,
ვინის,
ფარის,
წილის,

**ჭარის** კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებსა და ხელშუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.

და ამ -ს, **ჭ**-ს, **ჯ**-ს პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო **რაესი** მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი **დონები, ლანები, ლასები** ჩვენს გუთნებს, აჩაჩებსა და კავებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.

და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტიის ოკეანეზე განცდილი ოდესღაც.

ზღვა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდისფერი, არა, ლილისფერი, აჰ, ლილისფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიქოჩრნენ. ნელის ლაშლაშით შემოერტყნენ მყის ჭვინტს გემისას. ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვლები.

ისევ გაუსვა ქარმა ქორის ფრთა და დააწვინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ, ახმაურდნენ მალი ტალღები, შემოესიენ, შეელეწნენ გემის კიდეებს.

და შეუბღვირა ლეგა ზეცამ ზღვას ფერგადასულს; ცა ისევ გასჭრა ელვათა კრთომამ (ლეკურსა ჰგავდა მარჯვედ მოქნეულს).

არ ვიცი, ღამემ, შემოქნევამ ცეცხლის ლეკურის რა ჩასჩურჩულეს დადუმებულ ზღვას. აზვავდა ტალღა, მას მეორე გამოეკიდა და ყოველმხრიდან წამოვიდნენ ლეგიონები და გაიმართა ტრიამელ ზღვაზე თავწაწყვეტილი ტალღათ ჯირითი.

როგორც გაზულუქებული ველური ტახები ტყეში შეჰქმნიან ნავარდს უცნაურს, ზეახტებიან გახურებულნი და შერჩებიან თამაშის დროს მუხის ტანს ეშვით, წამოვიდოდნენ ისევ ტალღები, შეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავათ ნამცვრებად გადაქცეულნი.

კვლავ მოგვესიენ ბობოქარი ტალღები თქეშით. ზმუოდა ზღვა და ცას სხეპავდა ელვის ლეკური. ქაოსს გაეხსნა ვეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარის ლეგიონები მოლაშლაშებდნენ მოღრეკილნი წყალთ უდაბნოდან. აიმღვრა ცა და ზღვა უფრო აფორიაქდა და ტალღა ტალღას შეაწყდა ბნელში და ურჩხულებად ქცეულნი ზვირთნი ადგნენ, შესხეს ტვინი მრუმე ცას.

და ასე.

როცა მე მეგონა მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული, ეს უფსკრული თვალშეუდგამი ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სისხლი ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად დასხეპაო ელვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშეუდგამს და გახელებულს და კვლავ მომინდა დავსწერო წვრილად მე ქება დიდებულისა ქართულისა ენისა .

ისევე ვზივარ განთიადიდან განთიადამდის და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები...

გარეთ კი ღუღუნებს ელექტრომრიცხველი - ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

### ჩვენი ენა

ლალი ჭედია

ყველაფერი მეორდება ისევ ქრება,
მამული და უფლის ენა არის ერთად,
ისევ ისე მეორდება ყველა დილა,
მზე გამოვა, ძლიერდება ერის რწმენა.
საქართველოს სადღეგრძელოს იტყვის ყველა
სიყვარულით გადარჩება ჩვენი ენა.
ეს იქნება უეჭველი ამის მჯერა,
სიყვარული და სიწმინდე ღვთით აღსდგება.
ზესულეთი აცისკროვნებს მშობელ ენას.
საქართველოს გააბრწყინებს დედა ენა.

### ენა უფლისა ჩვენისა

რა ტკბილად ჟღერს საგალობელი ღვთისა, მშობლიურ ენაზე, ეს ენა ხელი–ხელ საგოგმანები, ბაჯაღლო ოქროშია ამოვლებული, ეს ენა ქართველებისათვის ხატზე საფიცარი და სავედრებელი... ეს ენა, ალგეთის ლეკვების გამომზრდელი ენაა, სიყვარულისათვის ბულბულის საამო ენაა. ეს ენა უფლისა ჩვენისა ქრისტეს ენაა.

აი, რას წერდა სულმნათი გოდერძი ჩოხელი ჩვენს ენაზე:

„ღმერთმა სიპებზე დაწერილი მცნებებით ანბანს მიანიჭა ღვთიური ბეჭედი, ანბანი დაიდო ერსა და ღმერთს შორის. როცა მოსემ ეს ორი სიპი ხალხთან ჩამოიტანა და ნახა, ერი ღმერთს განდგომია, დაამსხვრია ის ქვის ფიცრები—ამით ანბანი დაამსხვრია, ანბანი დაარღვია, დამსხვრეული ანბანით ისრაელს ღმერთთან მისასვლელი გზა მიმოუფანტა თვალწინ გაბრაზებულმა.“

ქართველებს გვაქვს ღმერთთან მისასვლელი გზა—ანბანი ქართული! ამაშია ჩამალული უკანასკნელ ჟამამდე ღვთის საიდუმლო, ამბობდა იოანე ზოსიმე.

# „ლექსო, შე სულის მემატიანევ!“



***ენვერ სალაყაია–კაცი, რომლის სახელი კარგა ხანია გასცდა ხობს და ადვილად მიესალბუნა ჭეშმარიტ ქართულ პოეზიას. ლექსი გახდა მისი ცხოვრება, ყოფა, ფაქიზი სულის ზეცამდე ამაღლება. უბრალოება და სიჩუმე მისი ყოველდღიურობა...***

***დრომ ვერ გაუძლო ამ სიჩუმეს. მისი სტრიქონები მარცვალ-მარცვალ აკრიბა და წლების შემდეგ ერთ წიგნად აკინძა. დრომ თავისი გაიტანა–მკითხველის გულამდე ჩუმად და უხმაუროდ მიიტანა მისი პოეზიის დიდი სიყვარული, ხიბლი...***

***ბატონი ენვერ სალაყაია, რედაქციელების მეგობარი, „ხობის მოამბეს“ დღევანდელი ნომრის სტუმარია.***

ენვერ სალაყაია

## „სიმღერით ისევ დავიწამლები“

***ბატონო ენვერ, გვამოგზაურეთ თქვენს სამყაროში, ეთანხმებით ფრაზას „ქვეყანაზე ყველაფერი პოეზიაა, ოღონდ ამღერება უნდაო?***

–პოეზია ადამიანის სულიერი განწყობილების ამაღლებული გადმოცემის საშუალებაა. კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: რამდენ ვინმეს უნახავს ხიდან ვაშლის ჩამოვარდნის მომენტი, მაგრამ ნიუტონის გარდა გრავიტაციის კანონი არავის აღმოუჩენიაო. ყველას თავისი წილი საქმე აქვს ქვეყანაზე საკეთებელი, რომლისთვისაც ძალას და ენერგიას, ნიჭსა და უნარს ადამიანი ზენაარისგან იღებს.

პოეზია ღვთის მადლია ადამიანში გადმოსული, რათა ნანახი და განცდილი ზეფრენით აამღეროს. კარგი ლექსი, კარგი სიმღერა, ყველაზე გულგრილ ადამიანსაც ემოციებით მუხტავს და აკეთილშობილებს! ვმღერივართ სუფრაზე, ომში მიმავალნი, მიცვალებულს უკანასკნელ გზაზე გალობით ვავედრებთ შემოქმედს და ჭირისუფალს ვაიმედებთ გარდაცვლილი მოყვასის სულის უკვდავებაში.

პოეზია აუკვდავებს არა მხოლოდ მის ავტორს, არამედ მის მკითხველს და მსმენელსაც. მეჩუქურთმე ქვას ამღერებს, მებაღე ბაღვენახებს, მხატვარი ფერებს, მუსიკოსი ბგერებს, პოეტი კი მთელ სამყაროს.

პოეზია ომში სატევარია, პაპანაქებაში სასიამოვნო ნიავი, ყინვაში გულის სითბო და უდაბნოში შთენილისთვის საიმედო და განუყრელი მეგობარი.

ამ ქვეყანაზე ყველაფრის ამღერება შეიძლება, მხოლოდ ამისათვის პოეტისაგან შემოქმედება გულის სისხლს ითხოვს. ლექსი გულით ნაშობი და ნალოლიავები ქმნილებაა, მარტოოდენ გონით დაწერილი ლექსი ფელეტონის დონეს ვერ გასცდებოდა.

***თქვენი პირველი წიგნის გამოცემას წინ რა უძღოდა. როგორც ვიცი, ბევრად მეტი დაუბეჭდავი ლექსი გაქვთ, რომელიც ზეპირად იციან თქვენი პოეზიის თაყვანისმცემლებმა. მომავალში მათ „თავშეყრას“ უნდა ველოდოთ?***

–ჩემი პირველი ლექსების კრებული „სულის ფსკერიდან ცის გუმბათისკენ ანუ უსათაუროები“, ნახევარი საუკუნის განმავლობაში იწერებოდა. მასში მთელი ჩემი განვლილი ცხოვრება დევს. კრებულში ცრემლი, ღიმილი, ტკივილი და სიხარულია ამღერებული. ყველა სტრიქონიდან ჩემი სულის სუნთქვა ისმის. „კრებული“ მოცემულ რეალობაში პირობითია, რამეთუ ის ჩემი ცხოვრების, უსიუჟეტო ავტობიოგრაფიული პოემაა.

წიგნის გამოცემის მიზანი არასდროს მქონია, რამეთუ მჯეროდა, რომ ღირებულ შემოქმედებას შთამომავლობა არ დაკარგავდა, მაგრამ ბოლოს მაინც შემიპყრო ჟინმა–სიცოცხლეში მენახა „ყალიბში ჩამოსხმული“ ჩემი შემოქმედების იერ-სახე და როცა დასტამბული წიგნის ფურცლებს თვალი გადავავლე ჩემს თავს ვუთხარი „კარგია, მაგრამ კიდევ უკეთესი ხომ შეიძლებოდა მეთქი“. არ ვიცი მკითხველთან როგორ თანხვედრაში ვარ ჩემს მიერ ჩემივე შემოქმედების შეფასებაში, მაგრამ სიმართლე ერთია, ლექსს მე მთელი სული მივეცი, ლექსში მე ბოლომდე დავიხარჯე.

ზემოთ აღნიშნულ კრებულში მოცემულია ჩემი შემოქმედების დიდი ნაწილი–დაახლოებით 12.000 სტრიქონი. დაუბეჭდავი დამრჩა 2 000 სტრიქონზე მეტი, რომლის დაბეჭდვასაც „სულის ფსკერიდან ცის გუმბათისკენ ანუ უსათაუროების“ განახლებულ და სახელშეცვლილ გამოცემაში ვაპირებ.

***თქვენი პოეზიის მუზა უდაოდ ქალი და სიყვარულია, თუმცა არცერთ ლექსს არა აქვს სათაური და თარიღი. ამ გაზაფხულის პირზე რას გვეტყვით მათზე?***

–ამ ქვეყანაზე რაც კი ადამიანებს მვირფასი და კარგი შეუქმნიათ, სიყვარულით არის შექმნილი. ყველა გენია სიყვარულს უმღეროდა. შემოქმედება, პოეზია სიყვარულის გარეშე გაუგონარი საქმეა. სიყვარულის გარეშე თვით სიცოცხლესაც რა ღირებულება ექნებოდა, რადგან თვით სიცოცხლის არსი სიყვარულია. ქვეყნად არ არსებობს უშნო ქალი, ყველა ქალი ლამაზია! ქვეყნად არ არსებობს უშნო მამაკაცი, რადგან ყველა მამაკაცი სიმპატიურია! მე თუ შეყვარებული არ ვარ, ისე ლექსს ვერ ვწერ. განა მარტო სიყვარულზე, სხვა თემაზეც ჩემი მუზები ქალები არიან.

ანტიკური ხანის ფილოსოფოსები ბრძანებდნენ: „მზე არა მხოლოდ ყოველდღე, არამედ მუდამ და ყოველთვის ახალიაო“. მეც მუდამ და ყოველთვის შეყვარებული ვარ და ყველა სიყვარულში, როგორც ანტიკური ფილოსოფოსები მზეში, მუდამ და ყოველთვის ახალ-ახალ სილამაზეს პოულობდნენ, მეც ასე, ყველა სიყვარულში ვპოულობ რაღაც მშვენიერს, ამაღლებულს, საპოემოს და სასიმღეროს.

მხატვრობის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ხელოვნების ეს დარგი მიყვარს. მხატვრები ცხოვრებას ლამაზ ფერებში ხედავენ და ასევე ლამაზი ფერებით ამეტყველებენ. ბოტიჩელის ნახატის „გაზაფხულის“ ფოტოასლს, რომ ვუყურებ გულში მუდამ სიმღერას ვღიღინებ. როგორც მოგეხსენებათ, ბოტიჩელი ამ ნახატით აყვავებულ ბუნების ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილი უნაზესი ქალის ფიგურებით ატყვევებს ადამიანის გულს და გონებას, თითქოს ბუნება კი არ განაპირობებს მათ არსებობას, არამედ ისინი თვითონ არიან შემოქმედი ამ გარემო სამყაროსი! თითქოს ბუნებიდან კი არ გადმოდის მათზე სილამაზე და ელფერი, არამედ ისინი თვითონ მატებენ და აძლევენ ამ ბუნებას ეშხსა და ელფერს. ამ ტილოზე ღიმილი კი არ არის ამღერებული, არამედ სევდა, მსოფლიო სევდაა ამღერებული.

პოეტური აზროვნება ცრემლსა და ღიმილს, ცას და მიწას აერთიანებს, „მისთვის არ არსებობს არსამღერალი, მისთვის ყველა მაღლობს ერთი მწვერვალი აქვს“. მას ყველაფრის ამღერება უნდა შეეძლოს, სწორედ ეს არის პოეზიის დანიშნულება:

*ბოტიჩელით მინდა ვნახო*
*გაზაფხულის ფერები,*
*მაგრამ ერთად ამდენ ლამაზს*
*როგორ მოეფერები?!*
*მიუწვდომელს როგორ წვდება*
*პოეტური თვალები,*
*თუმცა ასეთ სილამაზეს*
*სადღა დაემალები?*
*ამ სურათმა გამახსენა*
*შენზე თქმული ლექსები*
*და ექსტაზში ყველას ნაცვლად*
*შენ ერთს გეალერსები.*

ეს ჩემი პატარა ლექსი ბოტიჩელის „გაზაფხულის“ განწყობაზე დავწერე. სამყარო უსაზღვროა, მაგრამ უსაზღვრო სამყაროს შენი წილი სიტკბო და სითბო ხომ უნდა გამოსტაცო. შეყვარებული ადამიანი ყვავილს რომ ეფერება, ამით ის თავის გულის სატრფოს ეფერება და როცა სატრფოს ეფერება, ამით შეყვარებული მთელი სამყაროს ტკივილსა და სიხარულს ეხმიანება.

დიახ, ჩემი ლექსების უმრავლესობა უსათაუროა, რადგან ყველა მათგანის სათაურად მე ნაგულისხმევი მაქვს „სიყვარული“ და თუ ქვესათაურების საჭიროება იქნა აუცილებელი, მკითხველმა დამდოს პატივი და დამისათაუროს.

***თქვენ ეროვნული მოძრაობიდან მოდიხართ, რას გვეტყვით მეგობრებთან ურთიერთობაზე, დაგეფანტათ ისინი თუ კიდევ ინარჩუნებთ ურთიერთობებს?***

–საოცარი მსგავსებაა ჩვენსა და შილერის ლიტერატურული გმირის მარკიზ პოზას შორის. მარკიზ პოზა ესპანეთის მიერ დაპყრობილი ერის შვილია, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი. ის თავის ერთ-ერთ მონოლოგში ამბობს: „ჩემს ოცნებას ჩემს გულშივე ელებაო ბოლო“, ჩვენც ასევე, რა ხანია შინაური და გარეული მტრები ქვეყნის თავისუფლებაზე ოცნებასაც კი გვიკლავენ გულში. მე ბავშვობიდან ვოცნებობდი თავისუფლებაზე, ბავშვობიდან ვფიქრობდი საქართველოს ეროვნულ გმირებზე. საქართველო ხომ დევგმირების და მედროვეების ქვეყანაა, სადაც ერთი ილია არსებობს, იქ ერთი ბერბიჭაშვილიც მოიძებნება. მერაბი და ზვიადი დამპყრობლების შეკვეთით ისევ ქართველებმა მოკლეს.

მეც ქართველებმა მიმაყენეს კედელთან. მეამაყება სამშობლოსათვის გადატანილი ტკივილები! დარცხვენილი ვარ, რადგან ამ ტკივილს ისევ ქართველები მაყენებდნენ.

ეროვნული მოძრაობის ჩვენი თანამოაზრე მეგობრები ბევრი აწამეს, ბევრს უბრალოდ შრომის და მოღვაწეობის ყოველგვარი საშუალება მოუსპეს, ჩვენი ხალხი დაფანტულია, რადგან ყველა დროის მთავრობის სამიზნე ჩვენი ხალხი იყო. ახლა კი ოდნავ ამოვისუნთქეთ მგონია.

მეგობრობა ადამიანზე გადმოსული უფლის მადლია, რომლის გარეშე საზოგადოების არსებობას ვერავითარი ქვემეხი და ქვეყნის კანონი გაამყარებდა. მეგობრობა ლამაზი ქრისტესმიერი თანაარსებობისა, თავისუფალი შემოქმედების საფუძველია. მეგობრობა ნიჭია, ზოგს თითო-ოროლა მეგობარი ჰყავს, ზოგმა საერთოდ არ იცის რა არის მეგობარი. მე კი უამრავი მეგობარი მყავდა, ცხოვრებამ მენესტრალივით საით არ მახეტიალა, იმ დროისთვის გზახსნილ უზარმაზარ სივრცეში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ჩემდა სასიხარულოდ, ყველგან კეთილი ადამიანების სამეგობრო წრეში ვხვდებოდი. ზოგჯერ მათ სახეებს როცა ფიქრები მოგონებებში ამოატივტივებს, ყველა მათგანს ახლაც დიდი სიყვარულით ვეფერები.

***ესაუბრა***
***მერი ლაგვილავა.***

# მე და ჩემი სამყარო

დასაბამიდან ჩემს არსებობას ღმერთისა და პოეზიის სიყვარულით ვამართლებდი. ცხოვრებისადმი არასოდეს მქონდა გულგრილი დამოკიდებულება. ცხოვრება მიყვარდა მუდამ და ახლაც, ამ სტრიქონების წერისას, მასზე უსაზღვროდ ვარ შეყვარებული. ღმერთის შემოქმედების ნაყოფია ეს უსაზღვრო სამყარო. ჩემი შემოქმედების ნაყოფია ყოველივე ის, რასაც მე ღმერთის და პოეზიის სიყვარულით ვქმნიდი და როგორც ბრძენს უთქვამს, თუ ქვეყანაზე არ არსებობს წვრილმანი და ყოველივე თუ მსხვილმანია, მაშინ ყოველი ცალკეული ადამიანის არსებობას, ასევე ჩემს არსებობასაც უდიდესი დატვირთვა ჰქონია. მე ვარსებობ, ე.ი. მე ვარ შემოქმედის თანაშემოქმედი. „ქვეყანაზე ყველაფერი პოეზიაა, ოღონდ ამღერება უნდაო“. უფალმა ყველაფერი საპოეზიოდ თუ შექმნა, ჩვენთვის უდიდესი პატივი და მადლია მისი ამღერება.

ყვავილებისა და ბალახის სუნთქვას, სიოს ალერსს, ქარებთან შეხლას, ზღვის ტალღების ბორგვას ან სად უნდა დაემალოს ადამიანის ნაშიერი და მეც ვფორიაქობ, ვენთები, ვიწვი. არასოდეს მაკმაყოფილებს მიღწეული და მარად ვესწრაფვი, ჩავწვდე იდუმალსა და ამოუხსნელს. ჩვენ სული ხომ ღმერთმა გვიბოძა და როცა გარდაცვალების შემდეგ შემოქმედთან კვლავ მოგვიწევს წარდგომა, შემოქმედს გაუხარდება მისმიერვე შექმნილ სამყაროსთან ნაამბორალ და ნაქარიშხლევ საკუთარი სულის ნაწილს შემართულს და შეუბღალავს, უკვდავების წიაღში შებრუნებულს რომ ნახავს. მე ყოველთვის ისეთი მიმიღია ეს სამყარო, როგორიც არის. ისეთს მოვფერებივარ, როგორიც არის და არასოდეს დავპირისპირებივარ კრიტიკული აზროვნებით. თუ ზოგჯერ სევდით შეპყრობილი სევდიან ჰანგებს წავიღიღინებ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე შემოქმედს ვემდური, რომ მე შემოქმედის შექმნილით ვარ უკმაყოფილო. არა, ეს არ არის სწორი. მე ჩვენი არჩევანით, ადამისა და ევას არჩევანით ვარ უკმაყოფილო. არსებობის რამოდენიმე ფორმა შემოგვთავაზა უფალმა. ჩვენ კი ვარჩიეთ ის ფორმა, რომელიც გვაქვს აქ და არც სხვა რამეში არაფერი გვაქვს შემოქმედთან სამდურავი, სასაყვედურო, პირიქით, მისი დიდება და მასზე ლოცვა გვამაღლებს და გვაახლოებს მასთან. მოკვდავს გვხდის უკვდავად და გვაზიარებს მარადიულ ნეტარებას. რასაკვირველია, ჩვენი ადამიანური ცხოვრების საზღაურად. ცოდვისთვის კი არ გვსჯის, არამედ გვაძლევს განწმენდის საშუალებას.

ჯოჯოხეთი არ შეიძლება მარადიული იყოს. მას როგორც მიწიერ ცხოვრებას აქვს თავისი განზომილება, რომლის დასრულების შემდეგ განწმენდილი სული ისევ შემოქმედის მარადიულ წიაღში ბრუნდება. ასე იქნება ჯოჯოხეთის შემდეგ. მე გულწრფელად ვეთანხმები ვიქტორ ჰიუგოს, რომელიც ამბობს:

„ვინც ბევრს ცოდავს–სატანაა, ვინც ცოტას–ადამიანია, ვინც საერთოდ არ ცოდავს,–ანგელოზიო“. ანგელოზურად უცოდველი ამ ქვეყნად არავინაა და მათ შორის, რასაკვირველია, მეც და ამიტომაც გამოვთქვი მზადყოფნა ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე ყველა ჩემი ადამიანური ცოდვები ცხოვრებაშივე მომენანიებინა და არ ვიცი, როგორ ვასრულებ ამ დანაპირებს ღმერთის წინაშე აღებულს, რადგან ჩემი ავ-კარგის შემფასებელი თვად ღმერთია. ღმერთს კი ნაკლებად აინტერესებს მე თუ როგორი წარმოდგენა მაქვს ჩემს თავზე, ღმერთი ყველას და ყველაფერს წონის თავისი უტყუარი სასწორით. ჩვენ კი ადამიანებმა ჩვენს თავში უნდა ვებრძოლოთ სატანას და ვესწრაფვოთ ნათელს. გენიალური რუსთველი ღმერთს ასე შეთხოვდა მხნეობას: „შენ დამიფარე ძლევა მე დათრგუნვად მე სატანისა.“ მეც დასაბამიდან შევთხოვ უფალს, მომცეს ძალა და მხნეობა საკუთარ თავში სატანის დასათგრუნველად და სინათლეზე სასიმღეროდ.

***ენვერ სალაყაია***

# „ლექსო, მე სულის მემატიანევ!“

მე აღარ მინდა დაფნის გვირგვინი,
აღარც სახელი, აღარც დიდება.
მე თავად დავდე დრო–ჟამს პატივი,
ჩემთან დუელში შესარკინებლად.
მე თავად დავდე სიკვდილს პატივი,
ჰიმნები ვუძღვენ ქება–დიდებად.
ვაჟღერებ ჩანგურს თავდავიწყებით
მთელ სამყაროსთან შესარკინებლად.

* * *

მერე ამკუწეთ, მერე ჩამქოლეთ,
ოღონდ მამღერეთ გულის ნადები.
სიცოცხლეს მთლად ნუ გადამაყოლეთ,
სიმღერით ისევ დავიბადები.
შთაგონებების ველურ წყურვილებს
აცხრობს ვულკანის ცეცხლი თაკარა,
ქვეყნად პოეტურ ცხოვრებისათვის
მარტო წყალი და პური არ კმარა.
ამიტომ არ ვცნობ ქვეყნად ხელმწიფეს,
ჩემზე ხელმწიფობს მხოლოდ უფალი,
მე ვმღერი რასაც გული მკარნახობს,
ვარ ნიავივით თავისუფალი.
მე მიყვარს ისიც, ვისაც მე ვძულვარ,
მოყვასი მიყვარს, კაცს ვით სჩვევია,
ლხინსა და ჭირში მეგობრისათვის
ზურგი არასდროს შემიქცევია.
მერე ამკუწეთ, მერე ჩამქოლეთ,
ოღონდ მამღერეთ გულის ნადები.
სიცოცხლეს მთლად ნუ გადამაყოლეთ,
სიმღერით ისევ დავიბადები.

* * *

შორ დისტანციით გადაღლილი სირბილის გამო
ჟინმორეული გულისძგერით ნაბიჯებს ვითვლი,
რა ცოტა რჩება ფინიშამდე, შორი გზის შემდეგ
და განვლილ გზაზე ასგზის უფრო ძნელია იგი.
ვიღაც ჩემს გვერდით მორბის ძლევით ჟინმორეული,
ვიღაც კი უკან მოგვჩანჩალებს და
სუნთქავს მძიმედ,
ჰე თურმე, კაცი უღონობით შეჭირვებული
საოცარია, რომ არასდროს არ კარგავს იმედს.
მაყურებელი ტრიბუნიდან მოფინიშეებს
ოვაციებით გვაგებებენ ხოტბა–დიდებას,
მაგრამ მესამე ვინც გვეგონა უკვე ძლეული
ფინიშის სწორზე აღმაფრენით იგებს რკინებას.
ტრიბუნა უმალ შეცვლის თავის
ხოტბის მისამართს
ადრე წინმავლთ დაივიწყებს მაყურებელი,
გზა რომ გალიო ცხოვრებაში რა ბედნაა,
თუ კი ამ გზაზე ვეღარ სძლიე დასაძლეველი.

* * *

ჩემი სულია ქვეყნის ტკივილს, რომ ერკინება,
ჩემი სისხლია აღმაფრენის და წვის მიზეზი,
ჩემს სიყმაწვილეს ათრთოლებდა ლექსის მაგია.
ჩემს სიბერეს კი ვერ იგუებს ჩანგის სიმები.
წლებმა კი არა, ოკეანემ გადამიარა,
მაგრამ სიყვარულს გასაცემი მაინც გავეცი.
დასაბამიდან მთის არწივი ღვიძლს მიკორტნიდა,
მაგრამ მარადის მაცოცხლებდა შენი ალერსი.
შენმა ალერსმა შემაგუა ქვეყნის ტკივილებს,
შენი ალერსით მტკივნეულმა გულმაც იმღერა,
რომ არ მიყვარდე, არ მწყუროდე, ოცნებავ ჩემო,
მითხარ უბრალოდ, სატრაბახო რაა სიმღერა.
საიდან მოველ, სად მივდივარ უფალმა უწყის,
სული აღსავსე ნათლის შუქით თვალებს მინათებს,
აღარ ვყოფილვარ თავად ზევსის მონა–შიკრიკი,
ჩემზე მბრძანებლობს, უამესო, მხოლოდ სინათლე.
კაცის სიყვარულს უკაცობა თუ არ დაერქვა,
ყოველი ტრფობა ქრისტეს ჯვარცმის საზღაურია,
მე ვსვამ მდინარეს ჩანჩქერებად
კლდიდან გადმომსკდარს
და სიგიჟემდე ალმოდება ისევ მწყურია.
დავიმსახურე? ვერაფერი დავიმსახურე,
ამბოხებული სულისათვის ლექსი მალამოს,
მე პოეზიას ცხოვრებისა ისე მივენდე,
აღარ მგონია, რომ ღვინომაც ისე დამათროს.
როგორ დამბანგა შენმა სითბომ, შენმა ალერსმა,
თავგზა ამებნა, ნეტავ ერთი ვის შევადარო,
იქნებ მუზაა ყოფის არსი, წვა და ანთება,
რაც პიროვნებას ამიჯნურებს დედა–სამყაროს.
არ შემიძლია, წარმოდგენაც არ შემიძლია,
რომ მე უშენოდ მყვარებოდა სიცოცხლის ნექტრი,
რადგან მე შენით ვურიგდები ცხოვრებას მწუხარს,
სიცოცხლე მიყვარს, იმას ნიშნავს
რომ მე შენ გეტრფი.
ჩემი სულია ქვეყნის ტკივილს რომ ერკინება,
ჩემი სისხლია აღმაფრენის და წვის მიზეზი,
ჩემს სიყმაწვილეს ათრთოლებდა ლექსის მაგია,
ჩემი სიცოცხლის უნაზესი ჩანგის სიმები.

ენვერ სალაყაია

# „სიმღერით ისევ დავიბადები“

## გამოუქვეყნებელი ლექსები

* * *

უშენოდ ღამდება, უშენოდ თენდება,
უშენოდ ჩადის და ამოდის მზე.
შარა–გზამ კი არა, ჟამთასვლამ კი არა,
უშენოდ ცხოვრებამ დამღალა მე.
რა არის არსობა, ლხენა და თამაში,
განცხრომა, სიმაძღრე, თაფლი და რძე,
რა არის ფიქრები, ფრთები და ოცნება,
უშენოდ დარდი და ცრემლი ვარ მე!
უშენოდ ღამდება, უშენოდ თენდება,
უშენოდ ჩადის და ამოდის მზე.
სიცოცხლე რად მინდა? ცხოვრება რად მინდა?
სამოთხეც რად მინდა, უშენოდ მე?!

* * *

მე ძეგლს ვიგებდი ჩემთვის ხელთუქმნელს,
ჰორაციუსის მადლით მოსილი.
მეც შევერკინე ქარს და ურაგანს,
რომ დამემსხვრია მონის ბორკილი...
მეც მივყვებოდი უკვალავ ბილიკს
ეკლიანსა და თანაც შფოთიანს,
ვებრძოდი ქვეყნად უკანონობას,
თან კანონებსაც ეშაფოტიანს.
მეც ძეგლს ვიგებდი ჩემთვის ხელთუქმნელს,
ჰორაციუსის მადლით მოსილი,
ჩვენ ცაში გველის დაქორწინება
აქ თუ არ შედგა ჩვენი ქორწილი.

* * *

სად დამეკარგე, ყველგან გეძებდი
ვერ გპოულობდი, გული მტკიოდა,
უშენოდ ყოფამ დაკარგა აზრი,
უშენოდ მზე არ ამოდიოდა.
და მე მციოდა, და მე მშიოდა,
და მე მტკიოდა მთელი სხეული
და დავდიოდი, როგორც წამება
ჟან—ვალჟანივით გაოგნებული.
ისევ დაგეძებ, კვლავ ვერ გპოულობ,
ისევ მწყურვალებს გული ვნებული,
ისევ ეკლიან ბილიკს მივთელავ
უსაზღვროდ შენზე შეყვარებული.

* * *

თავს თუ შეიცნობ დროსაც შეიცნობ,
ღვთით ნაბოძები სივრცეც შენია,
და თუ არ შეგწყვეტს ამის უნარი
ჭამე სხვა ქვეყნად რა დაგრჩენია.
კოკორი რომ შლის ყვავილად ფურცელს,
მან იცის ქვეყნად თავის რაობა,
ვისთვის სიცოცხლე არის ჭიდილი,
ვისთვის კი მხოლოდ არარაობა.
სიკეთის, ნათლის თუ ბოროტების
თავად ხარ სკივრიც და სოროც ბნელი
შენშივე სუფევს სვავთა განცხრომაც,
წამიც, საათიც, სინათლის წლიც.
სული ხატია, გული—სანთელი,
პური—მზითა და მიწით გამოცდა.
ზოგის ცხოვრება არის ჭიდილი,
ზოგის სიცოცხლის სულის ამოხდა.

* * *

იქნებ გვეცადა ბედი,
ზღვაზე სიმღერა გვეთქვა,
იქნებ, ჩაგვეტკბო ჰანგში
ტალღების გულის ფეთქვა.
როგორც ჩავატკბეთ მაშინ
იმ გაზაფხულის სითბო,
იქნებ სიმღერის ჰანგში
კვლავ გავაცოცხლოთ ის დრო?
ვერა, უარობს თუთა,
ვერა, უარობს ვერხვი,
ვერა ვერ ეტყვი ზამთარს
რაც გაზაფხულზე ვერ თქვი!
იცოდე, ცდები თუთავ,
იცოდე, ცდება ვერხვი,
უთუოდ ვეტყვი ზამთარს,
რაც გაზაფხულზეც ვერ ვთქვი!

* * *

შენზე რომ ვფიქრობ, ძვირფასო ჩემო,
მარადის გულზე მაწვება ზვავი.
გალაკტიონმა ცამეტჯერ სცადა
და მხოლოდ ერთხელ მოიკლა თავი.
და მეც სიკვდილთან ცამეტჯერ ვცადე
მაგრამ ვერასდროს ვერ დავდე ზავი.
ალბათ განგებამ მეც ერთხელ მარგო
ოდეს რომ შენთვის მოვიკლა თავი.

* * *

თანაც გადაგრიე, თანაც დაგაამე,
ღამეც გათევინე თეთრად,
გულში ჩაგაციე ცრემლის ოკეანე
ულევ სიხარულთან ერთად.
თანაც გადაგრიე, თანაც დაგაამე,
კოცნით აგითრთოლე ბაგე,
უკვდავ სიყვარულით ვარდი უჭკნობელი
მე შენს ლამაზ ბაღშიც დავრგე.

* * *

მთვარე აფრქვევდა ბაღში თილისმას
ვეღარ იტევდა გული სიამეს,
ამ წუთის განცდას თუ შემინახავ
ლექსო, მე სულის მემატიანევ!
შენზე ფიქრს რითმის ხანძარში ვატკბობ
სულში ქარები დავიდარაბობს,
ამ ღვინით თრობას ვუთხრა უარი?
—უფრო უკეთესს სხვა ვინ მთავაზობს?
„გაღებულია სამოთხის კარი“
გულში ვულკანი აფრქვევს სიამეს,
ამ წუთის სითბოს თუ შემინახავ
ლექსო, მე სულის მემატიანევ.

* * *

ყველა ეპოქის დარდს და სიხარულს
უნდა იტევდეს გული.
ლექსი არ არის აზრის გარითმვა,
თუ ლექსს არ მიეც სული!
თუ ღვთის ნათელი არ გათინათებს,
ისე რა არის ყოფაც,
აწმყოში ცეცხლით თუ არ დაიწვი,
ვერაფერს მისცემ მყოფადს.
შენს ზღვა თვალებზე ლექსი მეწერა,
ალბათ განგებამ მარგო.
მეც მთელი გულით მთელი ცხოვრება
შენ გიმღეროდი, კარგო.

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# მოგონებებით აღსავსე იუბილე

31 მარტს თ. სახოკიას სახელობის ცენტრალურ ბიბილიოთეკაში უდიდესი ქართველი მოღვაწის, ეროვნული გმირის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეცნიერ-ფილოლოგის, მწერლის, მთარგმნელის, დისიდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა და ჭეშმარიტი ქართველის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ გულთბილი, ტკივილნარევი სიტყვებით, თანამედროვეთა მოგონებებითა და ლექსებით გაიხსენეს მის მიერ განვლილი დიდებით მოსილი ტრაგიკული ცხოვრების გზა. საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ერთად პატივი მიაგეს ხობის პირველი პრეფექტის თენგიზ ქაჯაიას ხსოვნას. სანამ იარსებებს ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობა... ხალხისთვის თავდადებულ გმირებს დავიწყება არ უწერიათ.

# აქცია „მწვანე მომავალი“ ხობში



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორგანიზებით, აქციის „მწვანე მომავალის“ ფარგლებში, სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ გადასცა სხვადასხვა სახეობის ნერგები. ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო ქალაქის, თემებისა და სოფლების დაცულ ტერიტორიაზე დასარგავად 3500 ძირი მუხის, იფნისა და ნეკერჩხლის ნერგები.

პროგრამის ფარგლებში-„მწვანე მომავალი“ ქვეყნის მასშტაბით 2014 წლის ბოლომდე ნახევარი მილიონი ნერგი დაირგვება. აქციის მიზანია მწვანე ნარგავების ფართობების გაზრდა. გარემოს დაცვით საკითხებთან და კავშირებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ჩართულობა.

აქცია მნიშვნელოვანია როგორც ეკოლოგიური, ასევე კულტურულ-რეკრეაციული თვალსაზრისით.

# ხობელი მოჭიდავეები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ



ქ. თბილისში 24-25 მარტს, სპორტდარბაზ „არენაში“ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს და წარმატებით იასპარეზეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის სპორტსმენებმა.

42 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს 2014 წლის ჩემპიონი **ნუგზარ წურწუმია** გახდა. ასევე ჩემპიონის ტიტული 50 კგ. წონით კატეგორიაში **ჯონი ხეცურიანმა** მოიპოვა. ხოლო მესამე ადგილი **ნიკა ყორშიას** ერგო. ორგანიზატორებმა პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით დააჯილდოვეს.

ტურნირი მიზნად ისახავდა საქართველოს მასშტაბით ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის პოპულარიზაციას, მის გაფართოებას და ნაკრები გუნდის შევსებას. ხობელმა სპორტსმენებმა ამ გამარჯვებით შეძლეს ქვეყნის ნაკრების გუნდში ჩარიცხვა.

ვულოცავთ წარმატებებს და ვუსურვებთ ცხოვრების ასპარეზზე გამარჯვებებს.

# 24 მარტი—ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

24 მარტს მსოფლიო ტუბერკულოზთან ბრძოლის დღე აღინიშნა, რომელიც მიზნად ისახავდა ტუბერკულოზის ამ გლობალური ეპიდემიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას. 2014 წლის ტუბერკულოზთან ბრძოლის დღის სლოგანი იყო: გამოავლინე, უმკურნალე, განკურნე. თითოეულ საეჭვო და დადასტურებული შემთხვევის მკურნალობა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოა.

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## დანართი №1

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 დანართის შესაბამისად.

| № | ქონების დასახელება | სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | ფერი | ტიპი | გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | „ბიჯი“ 10% | ბილეთის ფასი | შემოსულობების სახაზინო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ მონდეო1,8“ | NAA 876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 762 | 76,20 | 76,20 | 20 | 300403332 |
| 2 | ა/მანქანა „ოპელ ომეგა“ | BBT 268 | 1995 | მწვანე 8/8 | სედანი | 350 | 35 | 35 | 20 | 300403332 |
| 3 | რენო-მეგანი | MCM-514 | 1997 | ლურჯი-7/8 | | 1024 | 102.40 | 102.40 | 20 | 300403332 |

## დანართი №2

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №2 დანართის შესაბამისად.

| № | დასახელება | მდებარეობა | რაოდენობა | ერთეულის გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | „ბიჯი“10% | მონაწილის ბილეთის ფასი | შემოსულობების სახაზინო კოდი ბანკში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წისქვილი | ქარიატა | 1 | 44 | 4.40 | 4.40 | 20 | 300403332 |
| 2 | წისქვილი | ქ. ხობი ბარათაშვილის ქუჩა | 1 | 18.40 | 1.84 | 1.84 | 20 | 300403332 |
| 3 | წყლის მრიცხველი | ახ. სოფელი | 4 | 12.95 | 1.30 | 1.30 | 20 | 300403332 |
| 4 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 3 | 3.15 | 0,32 | 0,32 | 20 | 300403332 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2014 წლის 16 აპრილი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო –20122900, მიმღები ბანკი– სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ),„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

**ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## ოჯახი–სამყაროს იდეალი

წლები... წლები... წლები...

წლებს მიაქვს ჩვენი დარჩენილი ცხოვრება, ის ქცეულა ჩვენი აუწონავი დრო-ჟამიერობის ჭეშმარიტ შემფასებლადაც. ეს შეფასებები კი ჩვენი განვლილი ცხოვრებიდანაა აღებული და მარტივ კითხვას–როგორი ვიყავით ცხოვრებაში–პასუხობს. ჩვენს „როგორობას“ კი განაპირობებს ჩვენი ინტელექტი, ზნეობა და ურთიერთობები, რომელიც სიყრმიდანვე მოგვდგამს. ასეთ ურთიერთობებს გამოხატვის თავისებური სახე გააჩნია.



ადამიანთა შორის ურთიერთობების აღზრდა ოჯახიდან

# ოჯახი შინაეკლესიაა, ცისე-სიმაღლე შეუხებელი...

იწყება. დედ-მამის, და-ძმების, მშობლების და შვილების, ბებია-ბაბუების და შვილიშვილების, საერთოდ ნათესავებს შორის ურთიერთობები განაპირობებენ მომდევნო თაობებს მორალურ–ეთნიკურ თვისებებს. განსაკუთრებით ქართულ მენტალიტეტში ნათესაობასა და გვარიშვილობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ტრადიციები და გვარიშვილობა ამშვენებდა ბიის თემში მცხოვრებ ირაკლი ჭითაშვილის ოჯახს. იგი 1923 წელს დაიბადა, მამა პატიმრობაში გარდაეცვალა. ერთმანეთი გამოზარდა ობლად დარჩენილმა ხუთმა და-ძმამ. მძიმე პირობები ჰქონდა უკაცოდ დარჩენილებს, მცირეწლოვანი ბავშვები ძალას არ იშურებდნენ ოჯახის გადასარჩენად, ამიტომაც გვიან მოუხდა სკოლაში შესვლა, რომლის დამთავრებაც ვერ მოასწრო–სკოლის მერხიდან თავის ორ ძმასთან ერთად გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, და მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში. ირაკლი იბრძოდა კავკასიის ფრონტზე მოზდოკსა და გროზნოს მისადგომებთან 1942-43 წლებში. ბოლო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა გულმკერდისა და ფეხის არეში, რის გამოც 1943 წელს იგი დემობილიზებულიქნა. მისი უფროსი ძმა ნიკოლოზი ამ ომს შეეწირა, ხოლო ვასო ომის დასასრულს ევროპაში შეხვდა.

ბავშვობაში ობლობაგამოვლილმა და სიჭაბუკეში ომგადახდილმა ირაკლიმ, წარჩინებით დაამთავრა ბიის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, სავეტერინარო ფაკულტეტზე. 1954 წელს მას მიენიჭა ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია და სამუშაოდ განაწილებულიქნა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ ახალქალაქის რაიონში. ხობში მობრუნებულმა ირაკლიმ მრავალი წელი იმუშავა თავის მშობლიურ კუთხეში, იგი ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს, მაგრამ თვისება, რომლითაც ის სხვებისგან გამოირჩეოდა, იყო მისი განსაკუთრებული სიყვარული თავისი პროფესიის მიმართ. უანგარობა, ძალიან ხშირად, ბატონ ირაკლის სამკურნალო პრეპარატებიც უანგაროდ დაჰქონდა და უშურველად გასცემდა მას, ოღონდ შედეგი მიეღო. ირაკლი უყვარდათ და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრებსა და ამხანაგებს შორის, იმ კოლექტივში, სადაც ის მთავარ ეპიზოტოლოგის თანამდებობაზე მუშაობდა.

1959 წელს ბატონმა ირაკლიმ შექმნა ქართული, ტრადიციული ოჯახი მარგო (მარგუშა) გეგეჭკორთან, რომელიც ბიის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად განაწილებით იყო ჩამოსული. დიდებული ქალბატონი, განათლებული, სამართლიანი, სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, რომელმაც 50 წელი იმუშავა პედაგოგად–ასე იცნობენ მას ბიელები.

ძველებური თქმულებაა–„სამი მთავრი ღირებულებაა ამქვეყნად. პური არსობისა–რომელიც ცხოვრებისეულ ძალასა და ჯანის სიმრთელეს იძლევა. სიბრძნე–წიგნებში დაუნჯებული და დროთა კავშირის დამამყარებელი, და ქალი–რომელიც სიცოცხლის ძაფს გაწყვეტის საშუალებას არ აძლევს.“

სწორედ ქალბატონი მარგო აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც ოჯახი შეკრა, შეადუღაბა, დედაბოძად დაუდგა ობლობაგამოვლილ, დასუსტებული ოჯახს წინ წაუძღვა და ქვეყანას ოთხი ღირსეული შვილი აღუზარდა. ამჟამად ის პენსიონერია, ინტელიგენტი ქალბატონი სოფელ ბიაში ცხოვრობს და ოჯახის მემკვიდრეს, ბაბუას მოსახელე და ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლეს, პატარა ირაკლის ცხოვრების ანა-ბანას ასწავლის.

***ქალბატონო მარგო, რა უნდა აკეთოს ადამიანმა?***

–თავისი საკეთებელი, თავდადებით და სიყვარულით.

***როგორი უნდა იყოს ქალი?***

–ქალი უნდა იყოს გაწონასწორებული, მომთმენი, საკუთარი თავის დამფასებელი და აქტიური.

***შეგიძლიათ თუ არა შეცდომის პატიება?***

–მე მართლმადიდებელი ვარ, ვცხოვრობ ეკლესიურად. მიტევება ყველაზე დიდი მადლია.

***როგორი უნდა იყოს ოჯახი?***

–კარგ ოჯახებში წიგნის, სიყვარულის, პატივისცემისა და ნდობის კულტია. სიყვარული სინათლეა, სინათლე ძალაა, სიბნელეზე გამარჯვების დიდი ძალა.

***როგორც ყველა ქალისთვის, თქვენთვისაც ოჯახი უმთავრესია. რას ნიშნავს ოჯახური ფასეულობები?***

–ოჯახური ფასეულობები ძალიან წმინდა და ღირებულია. მე და ჩემმა მეუღლემ სიყვარულით შევქმენით ოჯახი, გვქონდა მეგობრული, თბილი ურთიერთობა. ის ცოტა ადრე წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ დამრჩა ოთხი შვილი, რომლებისგანაც მუდმივად ვიღებ ნუგეშს, მყავს შვილიშვილები, მინდა მათ კარგი ბებიობა გავუწიო. გავაგებინო როგორი იყო მათი წინაპრების გზა, ის საუკეთესო, რაც წინა თაობებისგან მივიღეთ.

***ის, რაც ცხოვრებას ალამაზებს?***

–ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება, თუ ის მარტოა, როცა საყვარელ საქმეს არ აკეთებს. თანადგომა, ურთიერთგატანა, საყვარელი საქმის კეთება ის გზაა, რომელიც ცხოვრებას გვილამაზებს, სკოლაში მისვლის პირველივე დღიდან ვგრძნობდი, რომ უფალმა დამავალა ეს. მიჭირდა თუ მილხინდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას, მის მომავალს.

ასე ნელ-ნელა იწურება ერთი ოჯახის ბიოგრაფია, მაგრამ არ მთავრდება, რადგან მას ჰყავს ღირსეული გამგრძელებლები, შვილები, შვილიშვილები.

**შვილი ბადრი ჭითაშვილი:**–ბედნიერი ვარ, რომ გავიზარდე ქართულ ტრადიციულ ოჯახში, რომელშიც ყველაზე მეტად ინტელექტი ფასობდა. ჩვენი ოჯახი იყო მშვიდი, ურთიერთგაგებაზე და სიყვარულზე დაფუძნებული, ვცდილობ, გავაგრძელო ჩემი წინაპრების ცხოვრების წესი და მინდა ჩემს ოჯახშიც სუფევდეს ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთსიყვარულზე, უფროს-უმცროსობაზე და ზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობები, რასაც მე ჩემს შვილს, ირაკლისაც ვასწავლი. მთავარია, არ ჩატყდეს ხიდი მიმავალ და მომავალ თაობებს შორის.

**ოჯახის რძალი–ნესტან ესებუა:**–ძნელია, ძალიან ძნელი ისაუბრო ოჯახზე, როგორი უნდა იყოს ის. მე ჩემდათავად მინდა, ხვალ უფრო ლამაზი და მშვიდი დილა გამითენდეს, მინდა ვიცხოვრო ომისა და ცრემლების გარეშე, რომ მქონდეს მყუდრო და თბილი ოჯახი, გავზარდო მამულის სასიქადულო შვილი. ვცდილობ, ვიყო ქალი, რომელიც აშენებს ურთიერთობებს, რადგან სწორედ შენების საძირკველია ქალი, იგი ხომ ერთგულებასთან, სიყვარულთან, ღირსებასთან და თავდადებასთან ასოცირდება.

***მანანა შულაია.***

# გული სიამაყით მევსება



სასიამოვნოა იმის შეგრძნება, როცა პატარა სოფელში სასახელო შვილები იზრდებიან, წინ მიისწრაფვიან და მიზანს აღწევენ, თან სხვასაც გზას უნათებენ და მომავალს ულამაზებენ.

პირველი მაისის საჯარო სკოლა შესანიშნავი პედაგოგებით გამოირჩევა. მათი თანადგომითა და დახმარებით მოსწავლეები სხვადასხვა ცენტრებში, კონკურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ.

მიმდინარე წელს თბილისში კალიგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა კალიგრაფიის კონკურსი გამოაცხადა, სადაც მონაწილეობა ამავე სკოლის მე–7 კლასელმა პოლინა ფილიპიამ მიიღო.



წარჩინებულმა მოსწავლემ კონკურსის სამივე ეტაპი წარმატებით გაიარა და ქების სიგელი დაიმსახურა. მას თანადგომა ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა, ამჟამად ამერიკაში მცხოვრებმა თემურ ქანდარიამ გაუწია, რათა პოლინას ცოდნის მწვერვალებისაკენ სავალი გზა გაადვილებოდა, თემურმა მას ქართველ კლასიკოსთა წიგნების კრებულები უსახსოვრა.

პირველი მაისის საჯარო სკოლაში ქართული კალიგრაფიის წრე ჩამოყალიბებული, რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინელი ხუხია ხელმძღვანელობს. მას უკვე ჰყავს ოთხი კალიგრაფი. მოსწავლეებს კალიგრაფიულად შესრულებული აქვთ სხვადასხვა ნაწარმოები და „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები.

გული სიამაყით მევსება, როცა ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სხვებისთვის უანგაროდ იღწვიან.

მე, როგორც მშობელი, გულთბილი მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის დირექტორს ბატონ კობა კვიკვინიას, კლასის დამრიგებელს–ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნინელი ხუხიას და ამავე სკოლის კურსდამთავრებულს თემურ ქანდარიას ჩემი შვილის წარმატებული შედეგის, წარმოჩენის და თანადგომისათვის.

ღვთის წყალობა თითოეულ თქვენთაგანს!

***მთვარისა კალანდია,***
***მშობელი.***

# 20 აპრილი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულია!

## ბზობა_უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში



იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, სადაც მას ეგებება ხალხი, რომელიც პალმის ტოტებს უფენს წინ შეძახილებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა თა, მეუფე ისრაელისა !“ (იოანე, 12,13). თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი, მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მიწიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან, და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველა მყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისიის აღიარების, მეორე მხრივ – წინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის, და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მშვიდობის ნიშანია, ცხენზე – ომისა). მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით.მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

## მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა




აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკეობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.
აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ოთხივე სახარების თანახმად, ღმრთისმშობლისგან უბიწოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს, ებრაელთა პასექის დღესასწაულზე აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორწმუნესათვის. თუმცა მესამე დღეს – კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

### აღდგომა მოძრავი დღესასწაულია

ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული – მაცხოვრის აღდგომა გაზაფხულზე, ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის აღინიშნება. ეს უდიდესი მნიშვნელობის დღეა. ოთხივე სახარების თანახმად, ებრაელთა პასექზე, პარასკევ დღეს ქრისტე იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს. სამი დღის შემდეგ კი მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა.

325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით ხდება. ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირას მორწმუნეები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ.

## სააღდგომო წეს-ჩვეულებების ისტორია

### წითელი კვერცხი



წმიდა მარიამ მაგდალინელმა იმპერატორ ტიბერიუსს კვერცხი მიართვა და აღდგომა ახარა. წარმართმა ტიბერიუსმა მიუგო: მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამის თქმაზე კვერცხი გაწითლდა. ნიშნად ასეთი დიდი სასწაულისა, ქრისტიანებში ტრადიციად იქცა სააღდგომოდ კვერცხის წითლად შეღებვა.

კვერცხებს წითელ პარასკევს ღებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

წითელი კვერცხი - აღდგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა, მისგან ხომ წიწილები და ბარტყები იჩეკება. წითელი ფერი კი იესო ქრისტეს წმიდა სისხლის ფერია. აღდგომის კვერცხი ნიშანია ქრისტეს წმიდა სისხლით გაწმედილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა.

### ჯეჯილი



ბზობის კვირას მორწმუნეების ძველი ქრისტიანული ჩვეულების მიხედვით, ხორბალს თესენ. ამისთვის, ლანგარზე დებენ წყალში დასველებულ ბამბას და მასზე მუჭით მცირეოდენ ხორბალს მიმოფანტავენ. ხორბალი ღვივდება და იზრდება ჯეჯილი.

ძველი ქრისტიანული წესის თანახმად, მორწმუნეები აღდგომის დღესასწაულს ერთმანეთს პასკითა და ჯეჯილში ჩადებული წითელი კვერცხებით ულოცავენ.

მწვანე ჯეჯილი სიმბოლოა ახალი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ იესო ქრისტემ მოგვანიჭა თავისი აღდგომით.

### პასკა



პასკას ქრისტიანები სააღდგომოდ აცხობენ და მიირთმევენ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენის ნიშნად. იგი არის იმ მთის სიმბოლო, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. პასკა აგრეთვე აღდგომის სიხარულისა და ქრისტიანთა ერთობის სიმბოლოცაა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.